სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 მაისი 2004 №119 (2138) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამომ თასი მოიპოვა...

...ფეხბურთმა ხალხი

ბაჩო ჯიმშელეიშვილის ფოტო

ევრ-ოპა დინამოსთვის

სავარდო და სამაისო თასი აგცდა, ქუთაისს

გიორგი დარჯანია

ფინალი როგორიც უნდა იყოს, ისეთი იყო. მატჩი კარგი საყურებელი გამოდგა, სახიფათო მომენტებიც ბლომად იყო. თასის გადაცემა კი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, გირლიანდებით და ფოიერვერკით.

პირველი გოლი უმალ გავიდა, პროჟექტორები წესიერად არც იყო ანთებული. ბაბუნაშვილმა თოდუას ფლანგზე პასი გაუჭრა. თოდუამ კარის გასწვრივ ჩააწოდა და სულიკო დავითაშვილმა მცველებს დაასწრო — ირაკლი ზოიძეს ბურთის აღების შანსი არ ჰქონდა.

მომდევნო წუთებში „დინამო", ცხადია, მეტოქის ნახევარზე გადასახლდა, მაგრამ რაიმე აღსანიშნავი არ გაუკეთებია. ქუთაისელებს, მთელი გუნდით რომ იცავდნენ თავს, სტურუას კარისკენ მიმავალი ყველა ღრიჭო ჩაკეტილი ჰქონდათ.

გოლიდან 12 წუთში კი „დინამომ" მართლა კარგი მომენტი შექმნა. კუთხურიდან ჩაწოდებულს შაშიაშვილმა თავური დაჰკრა და კოშკაძემ ბურთი ზედ კარის ხაზიდან თავითვე გამოიტანა. დავძინოთ, რომ „ტორპედო" საერთოდ ვერ ახარხებდა დინამოელთა ნახევარზე გადასვლას და ოდენ ბურთის მოგერიებით იყო დაკავებული, რაც, ერთხელაც გავიმეოროთ, კარგად გამოსდიოდა.

თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა და თამაში ნელ-ნელა გათანაბრდა. ცოტაც და, საკამათო მომენტი შეიქმნა. ბაბუნაშვილი დინამოელთა კარისკენ გაიჭრა, მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ საჯარიმოს სიახლოვეს კანდელაკმა წააქცია, არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ კი დამნაშავეს ყვითელი ბარათი აუფრიალა. ვფიქრობთ, მსაჯი შეცდა. ან წესის დარღვევა საერთოდ არ უნდა დაეფიქსირებინა, ანაც, თუ ჩათვალა, რომ კანდელაკმა მეტოქე წააქცია, უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათი უნდა ამოეღო.



ბაჩო ჯიმშელეიშვილის ფოტო

ლევან სილაგაძის თავურმა „დინამო" ევროპაში გაიყვანა

პირველ ტაიმში ორივე გუნდს კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდა, რომელნიც გოლით შეიძლებოდა დასრულებულიყო. კოშკაძის პასით თოდუამ ოდნავ ააცილა კარს. ბაბუნაშვილი და კოშკაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდნენ, დავითაშვილს პასი რომ არ დაეგვიანებინა. ეს ქუთაისელთა მომენტები იყო, თბილისელთაგან კი, დასარტყმელ პოზიციაზე დარჩენილ კაშიას ბურთი გაექცა, კვირკველიას ღონივრად დარტყმული ოდნავ ასცდა კარს, ტაიმის ბოლო წუთზე კი ახალაიას საუკეთესო შანსი ჰქონდა — კაკალაძე მეურვეს გასცდა, საჯარიმოში ჩააწოდა და ახალაიას დარტყმულს ზოიძე თავგანწირვით გადაეღობა.

შეგვიძლია დავძინოთ, რომ „ტორპედოს" დინამოელთა იერიშების მეტწილად უბრალოდ მოგერიების ნაცვლად გააზრებული კომბინაციური კონტრიერიშები რომ დაეპირისპირებინა, ვინძლო სარგებელი ენახა, რაკი „დინამოს" დაცვა მაინცდამაინც კარგად არ თამაშობდა.

თამაშის განახლებისთანავე „ტორპედომ" კინაღამ მეორე გოლი გაიტანა. ფლანგური ჩაწოდება ვერც ერთმა დინამოელმა ვერ ჩაჭრა და დავითაშვილს სანტიმეტრები დააკლდა, კარიდან ორიოდ მეტრში მყოფს ბურთისთვის ფეხი რომ წაერტყა და გაეტანა. ამ ეპიზოდის მერე კი ინიციატივა ისევ დინამოელთა მხარეს გადავიდა, რასაც „ტორპედოს" ფეხბურთელთა გადაღლამაც შეუწყო ხელი — ქუთაისელები 90 წუთის მაღალ ტემპში სათამაშოდ მზად არ იყვნენ.

„დინამო" გოლს ამწიფებდა და სამწუთიან მონაკვეთში ერთბაშად ორი გაიტანა. ანგარიში კაშიამ გაათანაბრა. ბურთმა სტურუას ახლოს ჩაუფრინა, თითქოს მოგერიებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ თავად დარტყმა იყო ძალიან ძლიერი.

ამის მერე „დინამომ" მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა და მორიგი იერიშისას ტორპედოელებმა ბურთი საჯარიმოდან ვერ ამოიტანეს, კუთხურზე მოიგერიეს. იქიდან კი ანჩაბაძის ჩაწოდებულს სილაგაძემ თავი დაუხვედრა და გამარჯვებისა გაიტანა.

ვითარების ამგვარად შეტრიალების მერე „დინამომ" საკუთარი კარის დაცვას მეტი ყურადღება დაუთმო, რის გამოც, წესით, „ტორპედოს" შეტევისთვის მეტი შესაძლებლობა უნდა მისცემოდა. მაგრამ ზემოთაც ვთქვით, ქუთაისელები უკვე გადაღლილები იყვნენ და არაფერი გამოსდიოდათ. ამასობაში იშტაზე მოსულმა დინამოელებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს სახიფათოდ — ახალაია პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა.

ბოლოსკენ „ტორპედომ" ბოლო ძალა მოიკრიბა და გაიბრძოლა. გაიბრძოლა კი არა, ორი ისეთი მომენტი შექმნა, თამაში სასწაულით არ გადავიდა ოვერტაიმში.

83-ე წუთზე გამეზარდაშვილის თავური ზოიძემ ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია, მესამე წამატებულ წუთზე კი ირაკლიმ ხუციშვილს ორი მეტრიდან დარტყმული აუღო. ბარემ აქვე ვთქვათ ზოიძის უნიკალურ სათასო მიღწევაზეც: მან უკვე მერვე ფინალი ითამაშა და აქედან მეექვსე მოიგო.

ამგვარად, თასი და უეფას თასის საგზური — „დინამოს", „ტორპედოს" კი არაფერი შერჩა. ქუთაისელთა მწვრთნელს ოთარ გაბელიას ძლივს აკავებდნენ...

ბაჩო ჯიმშელეიშვილის ფოტო

თბილისი. 26 მაისი. 20 საათი. ლოჯომოტივი. 15 000 (ტევადობა 26 500)

დინამო 2:1 ტორპედო

0:1 დავითაშვილი (2), 1:1 ჯაშია (67), 2:1 სილაგაძე (71)



შეცვლა: იაშვილი – 18. მელქაძე (59), ჯაკალაძე – 17. ხმალაძე (78), ბოლქვაძე – 16. ჩხეტიანი (79), ბაბუნაშვილი – 24.მუმლაძე (84), მემარნიშვილი – 6. ხუციშვილი (88), ანჩაბაძე – 7. გრიგალაშვილი (90)

გაფრთხილება: კანდელაკი (23), ბოლქვაძე (43), სილაგაძე (73)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. შილაკაძე (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

დირექტორი: ნ. ჯაკელია

ნამატჩევს

გადრე კიბილაძის ფოტო

გია გეგუჩაძე: ყველას ვულოცავ დღევანდელ დღეს. ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა თამაშით. მართლაც ძალიან საინტერესო და დაძაბული თამაში იყო. ალბათ ბედმა გაგვიღიმა და ამიტომაც მოვიგეთ. „ტორპედო“ ახალგაზრდული გუნდია, კარგად ითამაშა და ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა. ქუთაისელებს წარმატებებს ვუსურვებ.



გადრე კიბილაძის ფოტო

ოთარ გაბელია: მთელ საქართველოს ვულოცავ დამოუკიდებლობის დღეს, „დინამოს“ კი თასის მოგებას. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. არ მინდა გაფუჭებულ მომენტებზე ვილაპარაკო, მაგრამ სულიკო დავითაშვილს მეორე ტაიმში ის გოლი რომ გაეტანა, სხვა თამაში წავიდოდა. თუმც ნაღდად არ შეგონა, ჩემი გუნდი ასე თუ ითამაშებდა.

–ცალკე სალაპარაკოა მსაჯობა. არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს წაგებას მსაჯს ვაბრალებდე, მაგრამ... კაცი მეკარესთან პირისპირ რომ გადის და ბოლო იმედის ჯარიმით მოცელავენ, გაფრთხილება რატომ უნდა აკმარო?! დამეთანხმებით, დინამოელი გასაგდები იყო. ამის გარდა, ორი-სამჯერ კვარაცხელიამ იმ დროს გააჩერა თამაში, როცა ჩვენ მომგებიან პოზიციაში ვიყავით. პირველი გოლისას კი თოდუაზე ჯარიმა იყო. ამ ყველაფერმა მატჩის შედეგზე თავისი გავლენა იქონია. ახლა შეიძლება თქვან, გაბელია წაგებას მსაჯებს აბრალებსო, მაგრამ ასე არაა. შეიძლებოდა, ისედაც წაგვეგო და მერე რაღას ვიტყოდი?! უბრალოდ, მსაჯმა აშკარად დაინდო „დინამო“. თუმც ამით მეტოქის დაკნინება არც მიფიქრია. კარგი იქნებოდა, მილჩენკოს შეეხედა, როგორ ტიროდნენ ჩემი ბიჭები. მათი ცრემლი არ ღირდა საამისოდ. თუმც რა გაეწყობა, ახლა მომავალ სეზონზე უნდა ვიფიქროთ.

კახა შალამბერიძე

გადრე კიბილაძის ფოტო

ტორპედოელთა უმეტესობა ან თვალცრემლიანი იყო, ან სულაც ტიროდა. ერთადერთი, ვისთანაც გასაუბრება მოხერხდა, *სულიკო დავითაშვილია*:

— თამაში არაკვალიფიციური მსაჯობით კვარაცხელიამ გააფუჭა. როდის მოეღება ბოლო ამ კაცის არაობიექტურ მსაჯობას?! ორივე გუნდმა მშვენივრად ითამაშა და, მგონი, მაყურებელმაც საკმაოდ ისიამოვნა. „დინამო“ ისედაც ფავორიტი იყო და მას დახმარება არც სჭირდებოდა. სხვა რა ვთქვა? ძალიან იმედგაცრუებული ვარ, თასი ხომ ასე ახლოს იყო.

დინამოელები გამარჯვებულის საკადრის ხასიათზე იყვნენ. ბოლო წუთების გმირი კი „დინამოს“ მეკარე *ირაკლი ზოიძე* იყო: თავს ბედნიერ კაცად ვგრძნობ, ვინაიდან გუნდის მოგებაში მეც მიმიძღვის წვლილი. საკმაოდ რთული ბურთებს მოგერიება მომიხდა, თუმცა ჩემს თავს საუკეთესოდ მაინც არ ვთვლი, საუკეთესო მთლიანად „დინამო“ იყო.

გიორგი ნემსაძე: ძალიან დრამატული და დაძაბული ფინალი იყო, ვფიქრობ, მაყურებელმა ისიამოვნა. ალალად ვიტყვი, „ტორპედოსგან“ ასეთ წინააღმდეგობას არ ველოდით. სხვა მხრივ ბედნიერი ვარ, საქართველოში დაბრუნება თასით აღვნიშნე. თამაში ისე წარიმართა, მოგება ორივე გუნდს შეეძლო. დავითაშვილმა დაგვინდო, ასპროცენტიანი საგოლე სიტუაცია ვერ გამოიყენა. გარდატეხის მომენტი კი მაშინ დადგა, როდესაც ანგარიში გათანაბრდა. „დინამომ“ თავისი ირწმუნა და საქმე ბოლომდე მიიყვანა.

გუშინ დილლაბაშვილის ფოტო

სანდრო იაშვილი: ცოტა გული დამწყდა, ფინალში რომ გამომცვალეს, მაგრამ რას იზამ, თამაში არ წამივიდა და მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა. მთავარია, რომ მოვიგეთ.

ლევან მელქაძე: მგონი, თამაშში ცუდად არ ჩავრთულვარ. მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გამიტანია, თავს ბედნიერად ვგრძნობ, რაც არცთუ ხშირად ხდება. „ტორპედომ“ საკმაოდ კარგად ითამაშა და მაგრად გვანერვიულა.

ლადო ახალაია: ახლა დამშვიდების საშუალებაც მოგვეცა. უდიდესი ფსიქოლოგიური ტვირთი მოგვეხსნა. ჩემპიონობა დავკარგეთ და თასიც რომ ვერ აგველო, საშინელება იქნებოდა. „ტორპედოსთან“ მოგებისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. პირველ ტაიშში გაშვებულმა გოლმა მაგრად აგვრია, მაგრამ მაინც ვგრძნობდით, რომ მოგება შეგვეძლო. დღევანდელი თამაში სანახავადაც ხომ ვარგოდა, მაგრამ ის მაინც სავსე ტრიბუნებმა და კარგმა გულშემატკივრობამ გაალამაზა.

გიორგი შაშიაშვილი: მატჩის დაწყებამდე ყველა დინამოელი მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა. ვიცოდით, რომ თასის დაკარგვაც მეტისმეტი იქნებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. „ტორპედომ“ სწრაფი გოლი გაგვიტანა და თამაში კონტრშეტევებზე აგო. ასეთ დროს ძნელია, მეტოქეს რამე დაუპირისპირო, ვინაიდან თითოეული ფეხბურთელი მხოლოდ შეტევაზე და გოლზე ფიქრობდა. საკმაოდ დამღლელი სეზონი დასრულდა და მიხარია, „დინამო“ უტიტულოდ რომ არ დარჩა.

დავით ერაძე

პოლიციის კალიების ფანჯრებს

ამ 26 მაისს თუ რამე გაგვიკვირდა, ეს სამხედრო აღლუმი იყო. უფრო სწორად ის, რომ საქართველოს თურმე ჯარი და შეიარაღება ჰქონია, რასაც ძველი მთავრობა გულდაგულ მალავდა.

თუ ამ 26 მაისს რამე გაგვიხარდა, მათ შორის ისიც იყო, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონზე საშვიდნოემბრო პარადი ისტორიის სანაგვეზე მოვისროლეთ — თასის ოთხი წლის წინანდელ ფინალზე თუ იყავით, „ტორპედომ“ „ლოკომოტივს“ პენალტების სერიაში რომ მოუგო, გეხსომებათ, უგემოვნო წარმოდგენის მერე რკინიგზის ყოფილმა შეფმა სტადიონისთვის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სახელის დარქმევა რომ მოინდომა და მერე გაუკვირდა, ხალხმა სტვენა რომ ატეხა.

ეს ახალი დროების ფინალი იყო.

მაგრამ ამ ფინალსაც თან სდევდა ძველი გადმონაშთი — მაგალითად, ზოზინა პოლიციელები, რომლებმაც არ იციან, რისთვის არიან მისული სტადიონზე.

მოდით დავაკონკრეტოთ, ტაიმებს შორის „კოკა კოლამ“ მაყურებლების ბურთებით დასაჩუქრება განიზრახა. ბურთის მიმტანი ბავშვები მოედანზე შევიდნენ და ამ ბურთებს ტრიბუნებზე ისროდნენ. ამ დროს კი ახალგაზრდებმა იხუვლეს და ბურთების წასართმევად მოედანზე შეიჭრნენ — მოედანი ხალხით გაივსო და იყო ტაციაობა. უბრალო კითხვა უნდა დავსვათ: რა ჯანდაბად სჭირდება მოედანს გისოსები, თუ შიგნით შესაღწევ ყველა კარს ღიად დატოვებ? ან თუ დაგრჩა, ცოტა აქტიურობა ხომ უნდა დაგეტყოს?!

კეთილი, კაცნი ვართ და, ვთქვათ, ვერ გავითვალისწინეთ. მაგრამ გამოცდილება უკვე მიღებული რომ გაქვს, 45 წუთის მერე იგივე იაღლიში ხომ არ უნდა დაგემართოს?! თამაშის დასრულების მერე იგივე ახალგაზრდები იმავე გაღებული ჭიშკრებით იმავე მოედანზე შეიჭრნენ და დინამოელ ფეხბურთელებს სულ ცემა-ტყეპით დაუპირეს მაისურების გახდა. თასის მომგებებმა გასახდელს შეაფარეს თავი და დაჯილდოების ცერემონიალი ათიოდე წუთით გადაიდო. ამასობაში ვიღაცამ ფლაგშტოკზე აღმართული ეროვნული დროშაც ჩამოხსნა...

ბადრი კვირკველიას ფოტო

ჟირესის ბონბონები და სტოპები

თავი როგორც თავი და თავი როგორც ტვინი

ბადრი კვირკველიას ფოტო

საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან სადღეისო მატჩის წინ გუშინ დილით „ლოკომოტივის“ სტადიონზე საკმაოდ ინტენსიურად, დაახლოებით ორი საათი ივარჯიშა და მწვრთნელი ალენ ჟირესიც კმაყოფილი დატოვა. იყო მომენტი, ფრანგმა თავკაცმა აღტაცება ვეღარ დამალა და ემოციურად შესძახა — ძალიან კარგები ხართ! თუმც ნუ იფიქრებთ, ჟირესმა ეს კომპლიმენტი ფეხბურთელებს ფეხბურთის თამაშისას უძღვნაო, ბიჭები თავბურთს თამაშობდნენ და მწვრთნელიც მაშინ გაოცდა, როცა ერთი გუნდის ფეხბურთელებმა ბურთი თავურებით ერთი კარიდან მეორემდე ძირს დაუშვებლად მიიტანეს და გოლიც გაიტანეს. აწი თავბურთის თამაშიც შეგვიძლიაო, ასეც იხუმრა მწვრთნელმა.

ისე კი, ალენ ჟირესს ორი საათის განმავლობაში შეგირდებისთვის შენიშვნებიც არ დაუკლია. თითქმის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ფრანგი ვარჯიშს აჩერებდა და ბიჭებს მითითებებს აძლევდა. მისი რჩევები უმეტესწილად ნაკრების იმ წევრებისთვის იყო, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ. ჟირესი მათ სწრაფ აზროვნებას სთხოვდა და ვარჯიშსაც მაშინ აჩერებდა, როცა ფეხბურთელები ბურთს ვერ ელეოდნენ და პასს აყოვნებდნენ.

მწვრთნელმა დიდი ყურადღება დაუთმო სტანდარტული მდგომარეობებიდან ბურთის გათამაშებას და შეგირდებს რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა

ჟირესისეულ ნაკრებში განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რაც აქამდე არ იყო, და თუ იყო, სასხვათაშორისოდ — დისციპლინა. ჟირესის სავარჯიშო მეთოდი მკაცრია, თუმც არც ისე, მწვრთნელი ფეხბურთელებს როზგებით დასდევდეს. ჟირესის სიტყვები ყველა ფეხბურთელისთვის გასაგებია და ისინიც ცდილობენ, მისი მითითებები მაქსიმალურად ზუსტად შეასრულონ. ეს ასეც უნდა იყოს და, ვაი რომ, აქამდე სწორედ უდისციპლინობაზე და მწვრთნელების ნათქვამთა შეუსრულებლობაზე გვიწევდა ლაპარაკი.

გუშინვე ნაკრებში ერთი „ძველი“ ამბავიც იყო: ზოგიერთმა ფეხბურთელმა „პუმას“ სამოსი დაიწუნა, სავარჯიშოდ უხეშიაო. უკმაყოფილოებმა ვარჯიშის შემდეგ ზოგმა გეტრები, ზოგმაც მაისურები იქვე მყოფ ბიჭუნებს ჩამოურიგეს. თუმც, რამდენადაც ვიცით, ფეხბურთის ფედერაცია შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ნაკრებისთვის ტექნიკური სპონსორის საკითხის გადასინჯვას აპირებს და არაა გამორიცხული, „პუმა“ სხვა ფირმამ შეცვალოს.

მოკლედ, ნაკრებმა სადღეისო მატჩისთვის მზადება გუშინ დაასრულა. გუშინვე საღამოს მთელი გუნდი საქართველოს თასის ფინალს დაესწრო, დღეს კი რვა საათიდან საქართველოს ახალ ნაკრებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ებრაელთა გუნდთან გამოცდა ელის.

ეს მატჩი ალენ ჟირესისთვის ქართველი ქომაგის თვალწინ სადებიუტო იქნება. ასევე სადებიუტო იქნება მისთვის მატჩი ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. აქამდე ხომ ჟირესის გაწვრთნილ ჩვენს ნაკრებს მხოლოდ გერმანელ ახალგაზრდებთან უთამაშია.

კოტა ინასარიძე

ბადრი კვირკველიას ფოტოები

კოლეგები, მეგობრები, კონკურენტები: ყაჯი დევაძე და გიორგი ლომაია

„გერმანული სკოლა“: ლევან ცქიტიშვილი და ლევან კობიაშვილი



სიკვდილივით სერიოზულია ამბავი

რეჰაგელმა საბერძნეთი მსოფლიოს გაარიდა



ევროჩემპიონატის სამზადისში მყოფი საბერძნეთის ნაკრები გუშინ მოსამზადებლად შვეიცარიაში გაემგზავრა. ნაკრების თავკაცმა ოტო რეჰაგელმა ციურიხში მყუდრო ადგილი შეარჩია. იმედი მაქვს, დანარჩენ მსოფლიოს მოვწყდებით და იზოლირებულად ვიქნებითო, თქვა მეფე ოტომ და ანგელოს ხარისტიასის გარდა ყველა სასურველი ფეხბურთელი ჩაიყვანა ციურიხში. ხარისტიასი ბუნდესჩემპიონ „ვერდერის“ ფორვარდია, „ვერდერს“ კი 29 მაისს გერმანული თასის ფინალი ელის „ალემანიასთან“, ამიტომაც ხარისტიასი მოგვიანებით, 30 მაისს შეუერთდება ნაკრებს. ბერძნები მის გარეშე ერთ საკონტროლო მატჩს ითამაშებენ — 29-ში პოლონეთს შეხვდებიან. 3 ივნისს კი ჰერ ოტო შვეიცარიის მოსაზღვრე ლიხტენშტაინში გადაიყვანს გუნდს და უკვე ხარისტიასით შეუტევს იქაურ ჯუჯა ნაკრებს.

შვეიცარიაში გამგზავრების წინ ოტო რეჰაგელმა მოკლე კომენტარს დააჯერა სააგენტო „როიტერი“: „დისციპლინა ჯადოსნური სიტყვაა. ახლა ჩვენთვის ყველაფერი სიკვდილივით სერიოზულია. მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე ჩვეულებრივ ცხოვრებას მოვწყდეთ. ჩვენ მძიმე საქმე და დიდი ბრძოლა გველის მუდმივი შემართების გამოსამუშავებლად“.

პაატა ძვანტალიანი



პლეიოფობანა

თბილისში მცხეთა — რუსთავი, ქუთაისში ბათუმი — მილანი

ჩემპიონატის ბოლო და ოქროს მატჩი 30 მაისსაა, ამ დღეს გაირკვევა ჩემპიონის ვინაობა. ერთი დღით ადრე, 29 მაისს კი ორი მნიშვნელოვანი თამაშია — თბილისსა და ქუთაისში ორი უმაღლესლიგური საგზურისთვის იბრძოლებენ.

პლეი ოფის ორი მონაწილის ვინაობა შაბათს გაირკვა, ორიც გუშინწინ. პირველი ლიგის ბოლო ტურში პლეი ოფის ორი საგზურისთვის მებრძოლმა სამმა გუნდმა იმარჯვა საშინაო მატჩში, თუმც „ჩიხურასთვის“ გუშინწინდელი მოგება არაფრისმომცემი აღმოჩნდა — უმაღლესისთვის ბრძოლის შანსი წნორის „მილანს“ და „რუსთავს“ დარჩათ. „ბათუმი“ — „მილანი“, „მცხეთა“ — „რუსთავი“ — ასე დაწყვილდნენ გუნდები პლეი ოფში.

პლეი ოფში გასულ პირველლიგელებს სამშაბათს ბოლო ტურში მართლაც გადამწყვეტი მატჩები ჰქონდათ. „მილანმა“ და „რუსთავმა“ ერთნაირი ანგარიშით 2:1 იმარჯვეს. „მილანმა“ ბოლო წუთზე გატანილით მოუგო მცხეთის „ვიტ ჯორჯიას“.

პირველი ლიგისთვის კი არა, უმაღლესისთვისაც უჩვეულო მაღალ ტემპში იბურთავეს „რუსთავმა“ და „დინამო 2“-მა „ფოლადზე“. მეტი ჟინი და მონდომება ვარლამ კილასონიას გუნდს აღმოაჩნდა. „რუსთავმა“ დებიუტშივე გახსნა ანგარიში და მეორე ტაიმის მეორე წუთზე უკვე 2:0-საც უგებდა მეტოქეს, თუმც ალეკო გოგობერიშვილმა თანაგუნდელები აიყოლია და მეკარის შეცდომას მოყოლილი კურიოზული გოლის შემდეგ „დინამო 2“-მა გასათანაბრებლადაც გაწია, მაგრამ მასპინძლებმა ივარგეს და სასურველი შედეგი შეინარჩუნეს.

„მცხეთა“ — „რუსთავი“ „ისანზე“ გაიმართება და ექვსის ნახევარზე დაიწყება.

29-შივე ზუსტად იმავე დროს ქუთაისურ „ტორპედოზე“ „ბათუმი“ და „მილანი“ ითამაშებენ. ბევრის აზრით, „მილანს“ იოტისხელა შანსი აქვს. „ბათუმს“ პატრონი გამოუჩნდა, სერიოზული გეგმები დაისახა და გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. თუმც, სადაც გამოცდილებაზე ვამბობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „მილანს“ მეტოქისგან განსხვავებით პლეი ოფში უთამაშია. ოთხი წლის წინ ქიზიყელებმა, მაშინ „ღარწყალის“ სახელით რომ თამაშობდნენ, „დინამო 2“-თან დათმეს უმაღლესში გადასასვლელი მატჩი.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ, დებულებით, თუ ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, თამაში „ვერცხლის გოლამდე“ გაგრძელდება. თუ დამატებით ორ ტაიმში გოლი აღარ გავიდა, საქმე პენალტებამდე მივა.

პაატა ძვანტალიანი



რა რანგის და შესაძლებლობის ფეხბურთელია ზურაბ ხიზანიშვილი, ამაზე „რეინჯერსის“ თავკაცის ალექს მაკლიშის სიტყვებიც მიანიშნებს — ზურას ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა — მაკლიში სიტყვებს ჰარი-ჰარად ნაღდად არ ისვრის.

22 წლის ხიზანიშვილი ჩვენი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, თუმც დღეს მცირე ტრავმის გამო ისრაელთან ვერ ითამაშებს. ზურა შვებულებას ჯერჯერობით თბილისში ატარებს და ინტერვიუსთვისაც მოვაცდინეთ

გადრი ჯიოლაბის ფოტო

არ გეწყინოთ, მაგრამ საქართველო ღარიბია

დოპინგი ზურაბ ხიზანიშვილისთვის: ცვება, ძილი და NIGHT LIFE

— დიდ გუნდში რომ თამაშობ კარგი კია, მაგრამ ამ სეზონში სხვა სასიხარულო ჩემთვის არაფერი მომხდარა — „რეინჯერსში“ პირველი სეზონი ვითამაშე და ვერაფერი მოვიგეთ. უტიტულოდ რომ დავრჩით, მთლიანად კლუბის ბრალია — ხელმძღვანელობის, მწვრთნელების, ფეხბურთელების... თუმც ჩავარდნა ყველას აქვს, აგერ, „რეალიც“ უტიტულოდ დარჩა განვლილ სეზონში.

— „სელტიკთან“ გასულ სეზონში ყველა თამაში წააგეთ, თან „სელტიკთან“ ერთ-ერთ მატჩში გოლი შენი შეცდომის შემდეგ გაუშვა „რეინჯერსმა“...

— ამაზე გულნატკენი აღარ ვარ, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ პირველი რეინჯერსული სეზონი უტიტულოდ რომ ჩავამთავრე, ამაზე კი მართლა მწყდება გული.

— შოტლანდიაში გოლი ჯერ არ გაგიტანია, ეს ვერც „დანდიში“ მოახერხე და ვერც „რეინჯერსში“...

— მე მცველი ვარ და გოლი რომ გაიტანო, საამისოდ განსაკუთრებული ალღო უნდა გქონდეს. მაგრამ ეგ არაფერია, ამასაც დავხვეწ.

— „რეინჯერსის“ დაცვიდან ორმა ფეხბურთელმა უკვე დატოვა გუნდი — ჰენინგ ბერგმა და ფრანკ დე ბურმა, შესაძლოა, კრეიგ მურიც წავიდეს. მომდევნო სეზონში დაცვის ლიდერის ტვირთი ალბათ შენ დაგეკისრება...

— „ოსერიდან“ დაგვემატება ჟანალენ ბუმსონგი, ხოლო „ლივინგსტონიდან“ ტრინიდადელი მცველი, მურის საკითხი კი ჯერ გაურკვეველია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ არ ვიცი, მომდევნო სეზონში რა პოზიციაზე ვითამაშებ, შესაძლოა, ნახევარდაცვაში გამამწესონ.

— ნახევარდაცვაში გირჩევნია თამაში?

— ჰო, მაგრამ ერთი პრობლემაა — ნახევარდაცვაში კარგა ხანია, არ მითამაშია, არადა, მოგეხსენებათ, ბრიტანეთში რა მოთხოვნები და რა ტემპია. თუმც ნახევარდაცვაში თამაშის დიდი სურვილი მაქვს.

— გლაზგოში ცხოვრებას როგორ შეეგუე? შენ ხომ გლაზგოში პატარა და მყუდრო დანდიდან გადახვედი.

— გლაზგო ჩემთვის უცხო ქალაქი არ იყო — როცა დანდელი ვიყავი, გლაზგოს ღამის კლუბებში არაერთხელ ვყოფილვარ — გლაზგოს ღამის ცხოვრება მართლაც მაგარია.

— როგორია ზურაბ ხიზანიშვილის დღის განრიგი?

— ცხრა საათზე ვდგები, ვსაუზმობ „რეინჯერსის“ ბაზის რესტორანში, საუზმიდან ერთ საათში ვარჯიშია, რომელიც საათნახევარს გრძელდება. შემდეგ... ვერანაირ კვებაზე უარს ვერ ვამბობ და ბაზაზე ვსადილობ კიდეც. უარის თქმა ძილზეც არ მიყვარს. ძილს ვერანაირი დოპინგი ვერ შეედრება, ძილი ჩემთვის საუკეთესო აღმდგენი საშუალებაა. მოკლედ, სადილის შემდეგ მძინავს, ხოლო საღამოს შოთა არველაძესთან, მის ოჯახთან ერთად ვარ ღამის თორმეტ საათამდე, მერე კი გლაზგოს „ნაით ლაიფი“ იწყება.

„სელტიკთან“ კიდევ ერთი წაგების შემდეგ...

— ერთი სიტყვით, გლაზგოში მარტოობას არ უჩივი...

— თავს მარტოდ ნამდვილად არ ვგრძნობ და ჯერჯერობით დაოჯახებასაც არ ვაპირებ.

— გლაზგოში მწვანე, „სელტიკის“ ფერის ტანსაცმელს ვერ იცმევ?

— თუ მწვანეს ჩაიცმევ, როგორც იტყვიან, პროგრამაში ხარ, თანაგუნდელებიც კი შენსკენ გამოიშვერენ თითს. ერთი სიტყვით, მწვანე სამოსის ჩაცმა პრობლემას არ შეგიქმნის, არავინ მოგაყენებს ზიანს ამის გამო, მაგრამ რეინჯერსელები მწვანეს მაინც ვერიდებით.

— „მანჩესტერი“ , „ჩელსი“, „ნიუკასლი“, „ბაიერნი“ — გლაზგოში მართლაც დაირხა ხმები, ეს გუნდები ზურაბ ხიზანიშვილით დაინტერესდნენო. ხმები განსაკუთრებით „მანჩესტერ“—„რეინჯერსის“ მატჩის შემდეგ გაძლიერდა...

— მანჩესტერული მატჩის შემდეგ მართლაც კარგი პრესა მქონდა. ერთ-ერთმა ინგლისურმა გამოცემამ რვა ბალი დამიწერა ათბალიანი სისტემით. ამის შემდეგ მართლაც აგორდა ასეთი ხმები. ერთმა გლაზგოელმა ჟურნალისტმა მკითხა კიდეც, შენით ესა და ეს გუნდები არიან დაინტერესებული და რას აპირებო. ვუპასუხე, ამის შესახებ არაფერი ვიცი, „რეინჯერსიდან“ წასვლას არ ვაპირებ-მეთქი. ისე, ხშირადაა ხოლმე, როცა შენს თავს რაღაც ხდება და ყველაფერ ამას შენ ბოლოს იგებ.

— აგენტი შეიცვალე — ათოლ სტილის მაგივრად შენს საქმეებს ახლა ივან ბენეში წარმართავს — რით იყო გამოწვეული აგენტის შეცვლა?

— შესაძლოა, ფეხბურთელები გაუმაძღარი, ძალიან პრეტენზიული ხალხი ვართ, მაგრამ მინდორზე ჩვენ დავრბივართ, ჩვენ ვიმტვრევთ ფეხებს. ფული არ გვიჭირს, მაგრამ როგორ მივაღწიეთ ამას, ჯანმრთელობის რისკის რა ფასად, ამასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. კარიერის დამთავრების შემდეგ ჩვენი განათლებით ვერსად წავალთ, თანაც იქ, სადაც პროფესორები მშივრები არიან. ჰოდა, თუ დავინახე, რომ ადამიანი ჩემს მიმართ გულგრილია, მასთან ურთიერთობას ვწყვეტ.

— ივან ბენეში ახლა გლაზგოშია — რას ელით მისი და „რეინჯერსის“ მოლაპარაკებიდან?

— ბენეში გლაზგოში უფრო შოთას საქმეებისთვისაა ჩასული — როგორც იცით, „რეინჯერსი“ შოთას კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობს. თუმც ბენეშმა მითხრა, შენს შესახებ რაღაც ინფორმაციები მაქვს, რაზეც ჯერ არ მინდა საქვეყნოდ ვილაპარაკო. ბენეში ამ დღეებში უნდა შემეხმიანოს.

— ნაკრებზე არ ვთქვათ, არ იქნება — გუნდში უკვე ახალი თაობა მოდის და როგორ ფიქრობ, ახლა რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს?

— თაობათა ცვლა ძალიან სერიოზული პროცესია. ზოგს ჰგონია, რომ ძველებს ადვილად მოეძებნებათ შემცვლელები, მაგრამ ეგრე არ არის. თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე და შოთა არველაძე — ნურავის ეწყინება, მაგრამ ასეთი ფეხბურთელების შემცვლელები ჩვენ დღეს არ გვყავს, საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბია.

— და ამ ეტაპზე გამოსავალს ვერ ხედავ?

— მივხედოთ ბავშვთა ფეხბურთს — ეს არის გამოსავალი.

დავით თავართქილაძე

ევრო-2004. A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

ეს გაზაფხული უკვე იყო

რუსეთმა ევროპას ტიტოვი შესწირა

ვალერ სოკამეტელი



ეს შესვედრა მარშან 15 ნოემბერს გაიმართა. რუსები საპასუხო მატჩისთვის კარდიფს 19-ში ესტუმრნენ, ტიტოვის საქმე კი მოგვიანებით, დეკემბერში „გასკდა". მოსკოვის „სპარტაკის" 27 წლის ნახევარმცველს უეფამ ერთწლიანი

უელსელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთმა ევრო 2004-ზე მათი ადგილი დაიკავა. ამ გუნდების საპლეიოფო პირველი მატჩის შემდეგ, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ეგორ ტიტოვს სისხლში აკრძალული პრეპარატი, ბრომანტანი აღმოუჩინეს

ეგორ ტიტოვი

დისკვალიფიკაცია აჰკიდა, მაგრამ უელსი რუსეთის ნაკრების დასჯას და მათ ნაცვლად პორტუგალიაში გამგზავრებას ითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ ტიტოვი მოსკოვურ მატჩში სათადარიგო იყო, ხოლო კარდიფში მე-60 წუთზე შეცვალეს.

უელსელებმა ყველა ინსტანციაში გაარჩიეს საქმე, მაგრამ ამაოდ — რუსები. ევრო 2004-ზე გაემგზავრებიან, ასეთი იყო საბოლოო განაჩენი.

პორტუგალიის საგზური ჩვენს მეზობლებს ძვირად დაუჯდათ — გუნდის საუკეთესო ნახევარმცველი ეგორ ტიტოვი გამოაკლდათ.

„ეს საკუთარ კარში გატანილ გოლს ჰგავს. ევროპის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და უკვე 0:1-ს ვაგებთ" — თქვა რუსთა ნაკრების ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, მაგრამ გეორგი იარცევმა განაცხადა: „საკმაო დრო გვაქვს მოსამზადებლად და გუნდი ტიტოვის გარეშე უნდა შევკრათ". მწვრთნელს სპარტაკელის შემცვლელად ალექსეი სმერტინი შეუგულებია, რომელიც აბრამოვიჩის „ჩელსმ" შეიძინა და „პორტსმუთს" ერთი წლით დაუთმო. „ჩვენ გვყავს სხვა კარგი ფეხბურთელები, რომლებსაც შეტევის ორგანიზება ძალუძთ" — დასძინა იარცევმა.

უელსი — რუსეთი. ვადიმ ევსეევის (№2) ამ გოლმა რუსეთს პორტუგალიის საგზური მოუტანა

რუსეთი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე და ევრო 2000-ზე ვერ მოხვდა, მაგრამ პორტუგალიის საგზური ვადიმ ევსეევის გოლმა მოუტანა, რომელიც მან კარდიფში უელსს გაუტანა.

ვალერი გაზაევი გეორგი იარცევით რომ არ შეეცვალათ, რუსები ალბათ, პლეი ოფშიც ვერ გავიდოდნენ. გაზაევმა თავის მხრივ ოლეგ რომანცევის ადგილი 2002 წლის მუნდიალის შემდეგ დაიკავა.

ვალერი გაზაევის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი რიხით, მოსკოვში ირლანდიელებზე შთამბეჭდავი (4:2) გამარჯვებით დაიწყო. შემდეგ ალბანელებიც შემუსრა, მაგრამ სტუმრად ალბანელებთანვე მარცხმა, შვეიცარიასთან საეჭვო პენალტით მოპოვებულმა ფრემ და შარშან აპრილში საქართველოსთან წაგებამ გაზაევის სკამი შეარყია. ამას დაერთო ამხანაგურ მატჩში ისრაელთან მარცხი და ვალერი გაზაევი 2003 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს.

იარცევის ხელქვეით კი გუნდმა დუბლინში ირლანდიას ქულა აართვა, მერე შინ შვეიცარია გაანადგურა და ბოლოს საქართველოსაც აჯობა. სამ შეხვედრაში მოპოვებულმა შვიდმა ქულამ რუსეთის ნაკრები მეორე ადგილზე დასვა.

გაზაევისა და იარცევის გუნდები შემადგენლობით ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება, რადგან მათ ფეხბურთელთა დიდი არჩევანი არა აქვთ, თუმც გაზაევი ნაკრების პარალელურად ცსკა-საც თავკაცობდა და ორ საქმეს ერთად ველარ გაუძღვა, ამას ნაკრების ზოგ ფეხბურთელთან კონფლიქტიც დაერთო. იარცევის მოსვლით ვითარება გაჯანსაღდა, გუნდმაც სამი გადამწყვეტი მატჩი უკეთესად ითამაშა და საპლეიოფო ბრძოლაშიც იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს რუსეთი სამ მეტოქეს გაეჯიბრა და ერთსაც ვერ მოუგო. ჩვენს რუს კოლეგებს ეს ფაქტი ცუდად ენიშნათ. შევნიშნოთ, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე რომანცევსაც იგივე დაემართა.

30 აპრილი. საქართველო 1:0 რუსეთი. ვალერი გაზაევს ამ მატჩში მარცხმაც შეურყია სკამი

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

გზა პორტუგალიამდე

X შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002	რუსეთი 4:2 ირლანდია	
16.10.2002	რუსეთი 4:1 ალბანეთი	
29.03.2003	ალბანეთი 3:1 რუსეთი	
30.04.2003	საქართველო 1:0 რუსეთი	
07.06.2003	შვეიცარია 2:2 რუსეთი	
06.09.2003	ირლანდია 1:1 რუსეთი	
10.09.2003	რუსეთი 4:1 შვეიცარია	
11.10.2003	რუსეთი 3:1 საქართველო	

საბოლოო ცხრილი

შვეიცარია	8	4	3	1	15:11	15
რუსეთი	8	4	2	2	19:12	14
ირლანდია	8	3	2	3	10:11	11
ალბანეთი	8	2	2	4	11:15	8
საქართველო	8	2	1	5	8:14	7

პლეი ოფი

15.11.2003	რუსეთი 0:0 უელსი
19.11.2003	უელსი 0:1 რუსეთი

ამხანაგური მატჩი. 25 მაისი

ავსტრია 0:0 რუსეთი

ავსტრია: მანდლი (არცბერგერი 46), შტრანცლი, ჰიბლინგერი, ჰიდენი, პოგატეცი (შტანდფესტი 46), შოპი (ვალნერი 46), აუფჰაუზერი (კისენებნერი 46), ბ. კოვაჩევიჩი, დოლინგერი, კირხლერი (კოლმანი 46), ჰაასი (ლინცი 46)

მწვრთნელი: ჰანს კრანკლი

რუსეთი: ოვჩინიკოვი (ბალაფეევი 46), ევსეევი, ბუგაევი, შარონოვი (ალდონინი 46), ანიუკოვი, სმერტინი, მოსტოვოი (რადიმოვი 46), კარიაკა, ბისტროვი (იზმაილოვი 46), ბულიკინი (კირიჩენკო 46), პანოვი (კერჟაკოვი 46)

მწვრთნელი: გეორგი იარცევი

მსაჯი: მიკო ვუორელა (ფინეთი)

9 600 მაყურებელი

ევრო-2004. A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

იარცევს შემადგენლობას ექიმი ეტყვის



მოსკოვის „სპარტაკისა“ და ცსკა-ს ყოფილ ფეხბურთელს, გეორგი იარცევს საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც უთამაშია და 1979 წელს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარა.

1994 წლის მუნდიალზე კომენტატორობდა, შემდეგ კი მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელთა შტაბში სამუშაოდ მიიწვიეს. მაშინ „სახალხო გუნდს“ ოლეგ რომანცევი თავკაცობდა, რომელიც 1996-ში ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გაუძღვა და „სპარტაკი“ იარცევს დაუტოვა. მისი მეცადინეობით „სპარტაკმა“ ოქრო მოიგო. შემდეგ რომანცევი დაბრუნდა, იარცევი თანაშემწეობას დაყაბულდა, ხოლო მოგვიანებით წავიდა და ჯერ „დინამოს“, მერე კი ვოლგოგრადის „როტორს“ წვრთნიდა.

შარშან აგვისტოში, როცა მას ნაკრების თავკაცობა შესთავაზეს, 55 წლის კაცი ორჭოფობდა: „ვითარება ძალიან აწეწილი იყო და გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა“ — თქვა იარცევმა, რომელსაც 1999 წლიდან 2002-მდე სამწვრთნელო პრაქტიკა არ ჰქონდა, მაგრამ მძიმე საქმე მაინც იტვირთა: „მჯეროდა, რომ შანსის გამოყენება შეგვეძლო და საბოლოოდ დავყაბულდი“.

მან გუნდში უხმო მოსტოვოის, ტიტოვსა და ალეინიჩევს, რომლებსაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ გაზაევმა უგანა, თუმც ჩამოთვლილებზე მეტად იარცევს „დინამოს“ ფორვარდმა ბულიკინმა გაუმართლა. დინამოელმა მოსკოვში საქართველოსაც გაუტანა, შვეიცარიასთან კი ჰეთ თრიქი შეასრულა.

„ტიტოვს და ალეინიჩევს „სპარტაკიდან“ კარგად ვიცნობდი და ამიტომ დავაბრუნე“ — განაცხადა მწვრთნელმა.

ევრო 2004-ის მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანამ 23-კაციანი შემადგენლობა უკვე დასახელა, მაგრამ გეორგი იარცევი ჯერჯერობით ამუხრუჭებს.

რუსეთის ნაკრებმა გუშინწინ ავსტრიასთან სტუმრად ამხანაგურად ითამაშა, ნამატჩევს კი იარცევმა მხოლოდ სამი გვარი გაამხილა: ოვჩინიკოვი, აკინფეევი და მალაფეევი. სამივე მეკარეა და უმჭველად მოხვდება ევროპის ჩემპიონატზე, დანარჩენი 20 კი გაურკვეველია. „დღეში რამდენჯერმე მეკითხებიან, ვის წავიყვან პორტუგალიაში. ეს უკვე მომაბეზრებელია. უკვე ათასგვარი ჭორები მოიგონეს. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. არავინ იცის, როგორ შეიცვლება ვითარება 12 ივნისამდე. რუსეთში ყველაფერია მოსალოდნელი. უახლოეს დღეებში შემადგენლობას ნუ ელით. 31 მაისს გუნდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, თითოეული ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობას გავიგებ და შემდეგ გადავწყვეტ. ტრავმირებული მოთამაშეები გუნდში არ გვეყოლება, პორტუგალიაში ტურისტების წაყვანას არ ვაპირებ“ — განაცხადა მწვრთნელმა.

გეორგი იარცევი იმიტომ აყოვნებს, რომ რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელის საქმეში ნახვა სურს, რომლებმაც ამ გაზაფხულზე თავი გამოიჩინეს. მათ შორის არიან ზენიტელი კერჟაკოვი და ტორპედოელი პანოვი. ორივე ფორვარდმა ბლომად გოლები გაიტანეს, განსაკუთრებით კერჟაკოვმა იყოჩალა და ნაკრებში დაბრუნების შანსი გაუჩნდა.

რა ხსარია 36 წლის კაცს?

ალექსანდრ მოსტოვოის აგვისტოში 36 წელი შეუსრულდება. ყველაზე გამორჩეულ რუს ლეგიონერს ცუდი სეზონი ჰქონდა. არადა, თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო—„სელტა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც კი გავიდა, სადაც „არსენალთან“ დამარცხდა. გალისიური გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგა ტკბილად მოსაგონარია, რადგან ახლა პრიმერადივიზიონიდან გავარდა

36-ე დაბადების დღისთვის სეგუნდადივიზიონში ჩაქვეითება ვერაფერი საჩუქარია, ამიტომ მოსტოვოის ევრო 2004-ზე სურს ძალის დამტკიცება. მისთვის ხომ ეს ჩემპიონატი, ასაკიდან გამომდინარე, ბოლოა.

„მეტი შანსი აღარასოდეს მექნება. ეს ძალიან კარგად ვიცი. შევეცდები, გუნდისთვის თავდაუზოგავად ვიშრომო და მთელი ჩემი ცოდნა-გამოცდილება მოვახმარო — თქვა ვიგოელმა და იქვე დასძინა — ოცი წლის რომ ვიყო, ჩემპიონატით დავტკბებოდი, მაგრამ 30-ს. გადაცილებული კაცისთვის ასეთ დროს საზეიმო აღარაფერია“.

ალექსანდრ მოსტოვოის მსოფლიოს 1994 და ევროპის 1996 წლების ჩემპიონატებზე უთამაშია, მაგრამ ჯგუფიდან ვერ გავიდა. „ეგებ ახლა მაინც შევძლოთ მეოთხედფინალში გაღწევა“— ინატრა ფეხბურთელმა. „1994-ში გულდაწყვეტილი დავრჩი, მაშინ კარგი გუნდი გვყავდა, მაგრამ შალიმოვი და კანჩელსკისი სადირინს აუჯანყდნენ, რამაც ნაკრები მოშალა“ — გაიხსენა მოსტოვოიმ და შემდეგ ევრო 1996-ზეც თქვა: „ინგლისში უკეთესი გუნდი ჩავიყვანეთ, თუმც „სიკვდილის ჯგუფში“ მოვხვდით და მალე შინ დავბრუნდით“.

„მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მთელი გუნდი ჩავარდა — განაგრძო ვიგოელმა — ყოველთვის ცუდად მახსენდება კორეა-იაპონიაში ჩვენი გამოსვლა, თუმც ნაკრებში თამაშზე უარი არასოდეს მითქვამს. მზად ვარ, ევრო 2004-ის შემდეგაც დავეხმარო გუნდს თუ კვლავაც მიხმობენ“.



ალექსანდრ მოსტოვოი



მარატ იზმაილოვი

იზმაილოვის მესამე მშობელი სიომინია

ნიჭით გამორჩეულმა 21 წლის მარატ იზმაილოვმა ქომაგებს თავი გამოჩენისთანავე შეაყვარა. მისი სანაკრებო დებიუტი 2001 წლის 18 აგვისტოს შედგა, 2002-ში მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ შეირცხვინა თავი

„ფინალში გასვლაზე ვოცნებობ და მსურს, რომ უმაღლეს დონეზე ვითამაშო, მაგრამ ნაკრების წარმატება მთავარია“.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველს არ უყვარს ალკოჰოლური სასმელი და არასოდეს მოუწევია თამბაქო. „სპირტიანს არ ვეტანები, სიგარეტი ყოველთვის მძულდა. ვერ ვიტყვი, რომ რობოტი ვარ, რომელიც მხოლოდ ჭამს, სძინავს, ვარჯიშობს და ფეხბურთს თამაშობს, რადგან სხვაც ბევრი რამ მაინტერესებს და ვიცი, რას უნდა მივაღწიო“.

მარატ იზმაილოვზე ყველაზე დიდი გავლენა მის მშობლებს და იური სიომინს აქვთ. „დედ-მამამ ბევრი რამ მასწავლა, სიომინმა კი ჩემში ნიჭი დაინახა და შანსი მომცა, როცა ახალგაზრდული გუნდიდან ძირითად შემადგენლობაში გადამიყვანა. შარშან მძიმე ტრავმა გადავიტანე, მაგრამ მწვრთნელი გვერდით მედგა და მისი დახმარებით კვლავ დავბრუნდი“.

ლოკომოტიველმა გასულ შემოდგომაზე მოსკოვში „მონაკოს“ ბრწყინვალე გოლი გაუტანა, რომელიც ევროპაში კვირის საუკეთესოდ აღიარეს. „ასეთი გოლების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა მემატება — აღნიშნა იზმაილოვმა — თითოეული ფეხბურთელისთვის ჩემპიონთა ლიგა კარგი სკოლაა, სადაც ცოდნას გაიმდიდრებ და გამოცდილებასაც შეიძენ. ახლა ევროპის ჩემპიონატი იმიტომ უფრო მიხარია, რომ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრაში კიდევ უფრო გავიზრდები, როგორც ფეხბურთელი“.

ბულიკინს შვეიცარიამ უშველა

დმიტრი ბულიკინი მოსკოვის „ლოკომოტივში“ პირველად რომ გამოჩნდა, ფეხბურთელზე მწერალნი უმალ აალაპარაკა. აყლაყუდა ფორვადი თავისი სათამაშო ყაიდით გამოირჩეოდა და მას დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველეს, მაგრამ როგორც ბევრს სხვა რუს ფეხბურთელს ემართება, მალევე დაიჩრდილა

„ლოკომოტივიდან“ მოსკოვის „დინამოში“ გადასული ბულიკინი შარშანდელ სეზონში ვიქტორ პროკოპენკოს ხელში კვლავ კარგად ათამაშდა, გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და სანაკრებო დებიუტიც მოიწყო. „მწვრთნელი კარგა ხანს მესაუბრა და ამიხსნა, რომ თუ არ ვიზარმაცებდი, ჩემგან მაღალი კლასის თავდამსხმელი გამოვიდოდა“ — გაიხსენა ბულიკინმა. პროკოპენკოს დარიგება აშკარად გამოადგა და ფორვარდმა თავისი სამაგალითო თამაშით ამ გაზაფხულზე ჩეხ მწვრთნელ იაროსლავ გეჟბიკისგან კაპიტნის სამკლავურიც მიიღო.

გეორგი იარცევს ბულიკინის კარგი თამაში არ გამოჰპარვია და ირლანდიასთან მატჩისთვის გამოიძახა. დუბლინში ფორვარდმა იშრომა და ოთხი დღის შემდეგ მოსკოვში შვეიცარიასთან ძირითად შემადგენლობაში ადგილი ანდეს.

რუსთათვის უმნიშვნელოვან შეხვედრაში ბულიკინმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ლამის ეროვნულ გმირად იქცა.

ამის მერე მისი გადაბირება რამდენიმე უცხოურ კლუბს სურდა. მათ შორის ყველაზე მეტად „ევერტონი“ აქტიურობდა, მაგრამ საბოლოოდ ფორვარდი „დინამოში“ დარჩა.



დმიტრი ბულიკინი

გატუზოა თუ რკინის კაცი?

სულით და გულით პორტუგალიაში, ფიქრებით სამშობიაროში



ჯოვანი ტრაპატონის ოცდასამ რჩეულთაგან ერთ-ერთი „მილანის“ 26 წლის ნახევარმცველი ჯენარო გატუზოცაა. რინო ახლა კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზეა და „სკუადრა აძურასთან“ ერთად მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, თუმც სხვა საფიქრალიც მისძალებია — მისი მეგობარი გოგონა მონიკა ბავშვს ელოდება.

საფეხბურთო-საოჯახო ამბებზე გატუზოს „კორიერე დელა სერას“ ჟურნალისტი ესაუბრა. ინტერვიუ ალბათ უინტერესო არ უნდა იყოს, მით უფრო, ჯენარო გატუზო იუმორთან მწყრალად ნამდვილად არ ყოფილა...

— სინიორ გატუზო, ევროპის ჩემპიონატი მალე დაიწყება...

— ახალი ამბავი, ძალიანაც კარგი, მაგრამ, გამოგიტყდებით, ახლა ჩემი ფიქრები სხვაგანაა. მალე გოგოს მამა გავხდები, ეს დანამდვილებით ვიცი.

— ალბათ, ამის შესახებ ჯოვანი ტრაპატონიმაც იცის. რას გეუბნებათ, შეძლებთ სრულ მობილიზებას ევროჩემპიონატისთვის?

— აბა, რისთვის ვარ პროფესიონალი? რა თქმა უნდა, პორტუგალიაში ღირსეულად უნდა ვითამაშოთ მეც და იტალიამაც. სული და გული მოედანზე, ფიქრები — მონიკასთან და გაბრიელასთან.

— გაბრიელა ვინაა?

— პატარა, რომელიც მალე დაიბადება. ჩვენ უკვე სახელიც შევარჩიეთ, გაბრიელა. ტრაპს ვუთხარი, მონიკას მშობიარობა დაეწყება თუ არა, იმ დღეს უნდა გამიშვათ-მეთქი. თანხმობაც უპრობლემოდ მივიღე.

— ბევრი ამბობს, ევროპის ჩემპიონი იტალია გახდებაო...

— ძალიან კარგი, თუ ასე იქნება, მაგრამ გავხდებით კი? რა თქმა უნდა, ტიტულის მოსაპოვებლად არაფერს დავიშურებთ. ჩვენ ხომ ტიფოზებთან ვალში ვართ, 2002 წელს კორეა-იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩავაფლავეთ. თანაც ნაკრების ბირთვი, ფაქტობრივად, იგივეა.

— რომელი უფრო უხეში ფეხბურთელია, გატუზო თუ მატერაცი?

— რვა წელია, პროფესიულ ფეხბურთს ვთამაშობ და ამ ხნის მანძილზე ცუდად არავის მოვქცევივარ. წლეულს მხოლოდ ორი ყვითელი ბარათი მივიღე, ისიც მსაჯებთან კამათისთვის.

— ანუ მატერაცი...

— მე ეს არ მითქვამს. მარკოს ძალიან კარგად ვიცნობ, რამდენჯერმე შემცდარა კიდეც, მაგრამ, მერწმუნეთ, ფეხბურთელი მოედანზე არასდროს გადის იმ განზრახვით, რომ ვინმე დაამტვრიოს, მოჩეხოს, თუ რა თქმა უნდა, პროფესიონალია...

— თქვენი შეუპოვრობა ცნობილია, მაგრამ არასდროს მეტოქის გულშემატკივრები უხამსი რეპლიკებით არ შეგიმკიათ მაშინაც კი, როცა გლანძლავენ...

— არ ვაქცევ ყურადღებას და იმიტომ. ისინი უბრალოდ, შეხედვის ღირსნიც არ არიან. რა თქმა უნდა, ძნელი ასატანია, როცა უცხო ხალხი გაგინებს, მაგრამ ტრიბუნაზე უღირსების გარდა პატიოსანი გულშემატკივარიც ზის, რომელმაც ბილეთში ფული გადაიხადა და უბრალოდ, კარგი ფეხბურთის სანახავად მოვიდა. აი, ასეთები იმსახურებენ პატივისცემას.

— სტაფი, პიტბული, რინო... ტიფოზებმა არაერთი მეტსახელი შეგარქვეს. როგორ ფიქრობთ, პატარა გაბრიელას ესენი მოეწონება?

— ფეხბურთელებს მეტსახელებით მუდამ ამკობენ. ჩემი იდეალები ბავშვობიდანვე ყოველთვის ისინი იყვნენ, რომლებიც მოედანზეც და მის გარეთაც მამაცურად და უშიშრად გამოიყურებოდნენ. ასეთივე ვარ მეც, საგოლე პასის კეთებას მირჩევნია, მეტოქეს ნებისმიერი ხერხით წავართვა ბურთი.

— „მილანის“ ტიფოზთა სიყვარული როგორ მოიპოვეთ?

— იყავი ის, ვინც ხარ, არასდროს ითვალთმაქცო. მე ახლაც ის ჯენარო გატუზო ვარ, 13 წლისამ მშობლიური კორილიანო კალაბრო რომ დავტოვე. უბრალოდ, ჩემი საბანკო ანგარიში შეიცვალა.

— ფულს როგორ, სად და რაში ხარჯავთ...

— უზრუნველი ცხოვრებისთვის ფული საჭიროა, თუმც არა მთავარი. მატერიალური ფასეულობა ადამიანურთან ვერასდროს მივა. ვცდილობ, ყოველთვის გაჭირვებულ ხალხს დავეხმარო. ცხრა თვის წინ მშობლიურ კორილიანოში ჩემი სახელობის ფონდი დავაარსე, რომლის უმთავრესი მიზანი პენსიონერების, ბავშვებისა და გაჭირვებულთა დახმარებაა. კორილიანოში რომ ჩავდივარ, მხოლოდ იმ ხალხზე ვფიქრობ, მათ ვესიყვარულები და ვცდილობ, ყველანაირად გვერდით დავუდგე.

— ამიტომაც შესაძლოა, ძეგლიც დაგიდგან...

— არ მჭირდება, მე იქ ჩემი სახლი მაქვს. მოხუცებთან კარტსაც ვთამაშობ. იქ თითქმის ყველა ჩემნაირი ცხოვრობს.

— ადრიანო გალიანის აზრით, პაოლო მალდინის ფეხბურთიდან წასვლის მერე „მილანის“ კაპიტანი თქვენ უნდა იყოთ...

— მადლობა გალიანის ნდობისთვის, მაგრამ თავაზიან უარს ვეტყოდი. „მილანის“ კაპიტანი მოედანზე და მოედნის მიღმა პროფესიონალი, გამოცდილი, დიპლომატი და ღირსეული უნდა იყოს. მე ამისთვის ჯერ მზად არ ვარ. კაპიტანს გულშემატკივრებთანაც უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა. თანაც ერთი ცუდი თვისება მაქვს, ვამბობ ყოველთვის იმას, რასაც იმ წუთას ვფიქრობ. ზოგს ეს შეიძლება მოსწონს, ზოგს არა.

— სილვიო ბერლუსკონისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— შესანიშნავი. ერთმანეთს ყოველთვის ვეხუმრებით. კი, დიდი კაცია, „მილანის“ პრეზიდენტი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ჩემთვის ხომ მთავარი პიროვნებაა. სილვიო ძალიან კარგი ადამიანია. ამას წინათ მითხრა, იცი, რინო, ამ ბოლო დროს უფრო გასიმპათიურდიო. იუმორზე იუმორით ვუპასუხე: გმადლობთ, მაგრამ თქვენ რომ ჩემსავით გიმშვენებდეთ თმა თავს, გაცილებით ლამაზი იქნებოდით-მეთქი.

— ამბობენ, გატუზოს რკინის ფეხები აბია და სხეულიც რკინისა აქვსო...

— მართლა? მოიცა, დავიხედო... ხუმრობაზე სერიოზულად ასე ვუპასუხებ, არასოდეს არავის ვეპუები. ჩემსას ბოლომდე გავიტან მინდორზეც და მის გარეთაც. ერთ მშვენიერ დღესაც თუ ვიგრძენი, რომ მოვყანყალდი, სათამაშოდ უცხოეთში წავალ. „მილანს“ დაჩაჩანაკებული ფეხბურთელი არ სჭირდება.

— „მილანის“ ფეხბურთელებიდან ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც კარლო ანჩელოტის შენობით ელაპარაკება...

— ჰო, ასეა. ვინც ჩვენს გასახდელში თუნდაც ერთხელაა ნამყოფი, მიხვდება, რატომაც. გუნდში რვანი ვართ ასეთი. კარლეტოსთან ძალიან შინაურულად ვართ და გეტყვით, რომ „მილანის“ წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოც ესაა.

— გულახდილად თქვით, ტრაპატონი პაოლო მალდინის ნაკრებში დაბრუნებას როგორ სთხოვდა?

—ნუ გამახსენებთ. რა არ უთხრა, საიდან არ მოუარა, მაგრამ პაოლომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ერთხელ ვთქვი და სიტყვას არ გავტეხო. ეგებ მალდინიმ მთელი იტალია გააღიზიანა, მაგრამ მე მივესალმები მის საქციელს. ტრაპი კი ახლაც ფრჩხილებს იკვნეტს, როგორ ვერ გადავარწმუნეო.

— ისევ გაბრიელას დავუბრუნდეთ. მამობა ხომ არ აგამჩატებთ?

— რა სისულელეა. უფრო გავიზრდები, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, ისევ ისეთი დავრჩები. ჩემში ორი ადამიანია — ერთი ვიჟი, ანუ „მილანის“ და „სკუადრა აძურას“ ჯარისკაცი და მეორე წყნარი და მშვიდი ანუ, როცა შინ ვარ მონიკასთან და სამპთან, ჩემს ძაღლთან ერთად. ვინც მიცნობს, იცის, როგორი თბილი და მოსიყვარულე ვარ.

— ამაყობს გატუზო თავისი ხასიათით?

— რატომაც არა. მე ხომ მიმტევებელიც ვარ, მაგრამ თუ გამბრაზეს...

— იმასაც ამბობენ, მას ვერაფრით გააცინებო...

— მოუტყუებიხართ. როგორც ჩანს, თქვენ მამაჩემის ხუმრობებზე არაფერი გსმენიათ. სერიოზულად კი გეტყვით, რა თქმა უნდა, მეცინება, მართლა მონსტრი კი არ ვარ.

— მალდინი, ვიერი, ტოტი... დაახასიათებთ?

— კარგით, რა... პაოლოზე რა უნდა ვთქვა, ალბათ, ყველასთვის ეტალონია. ბობო ჩემი ძმაკაცია და ნამდვილად არაა ისეთი უხიაგი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. რაც შეეხება ფრანჩესკოს, ყველა ფიქრობდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებდით, მაგრამ „პუპონე“ ძალიან ძლიერი პიროვნებაა.

— რას იზამთ მაშინ, როცა კარიერას დაასრულებთ?

— რა დროს მაგაზეა ლაპარაკი... ისე კი ვიტყვი, მწვრთნელი არასდროს გავხდები. ცოლ-შვილთან ერთად წავალ კარიბეთში, მთელი წელი დავისვენებ და ჩემს ძაღლს ვეთამაშები, არასდროს დავიღლები.

ჯენაროს მონიკა მალე გაბრიელას აჩუქებს

აბრამოვიჩის დამსხვრეული ოცნება შევა 2009

მორჩა, რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩის ოცნება დაიმსხვრა... „მილანის“ უკრაინელმა ბომბარდირმა ანდრეი შევჩენკომ „როსონერისთან“ გუშინ ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ „სუპერშევა“ „სან სიროზე“ 2009 წლის 30 ივნისამდე იბურთავებს. ძველ ხელშეკრულებას კი ყავლი ერთი წლის მერე, 2005 წელს გასდიოდა.

საქმე ისაა, რომ ლონდონური „ჩელსის“ პატრონი მეუღლე ირინასთან ერთად პირადად ჩაფრინდა მილანში ადრიანო გალიანისთან მოსალაპარაკებლად. აბრამოვიჩს შევჩენკოს „სტემფორდ ბრიჯზე“ გადაყვანა ეწადა 50 მილიონ ევროდ, მაგრამ...

აბრამოვიჩმა ირინა მილანურ მაღაზიებში საყიდლებზე გაუშვა, თვითონ კი გალიანის შეხვდა. „მილანის“ თავხოტორა ვიცე-პრეზიდენტმა არც აცია, არც აცხელა და ლონდონელ სტუმარს წინ შევჩენკოს ახალი ხელშეკრულება დაუდო, ლაპარაკი მორჩენილიაო.

გუშინვე იტალიელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს ცნობა, რაკი აბრამოვიჩს უკრაინელთან დაკავშირებით ხელი მოეცარა, ახლა გალიანის ორ-ორი ფეხბურთელის ერთმანეთში გაცვლას სთავაზობსო. ანუ პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა და მეკარე კრისტიან აბიატი შესაძლოა, ლონდონის გზას გაუყვნენ, ლომბარდიის დედაქალაქში კი ერნან კრესპო და კარლო კუდიჩინი ჩავიდნენო. მოკლედ, ვნახოთ...

გიორგი ვაშაკიძე

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08





ფრანჩესკო ტოტი და ჯოვანი ტრაპატონი

საწებელა თქვენთვის დამითმია

ჩემი ტოტი თქვენი ზიდანი არ გეგონოთ

ვინაიდან იტალიაში „სკუადრა აძურას“ საევროპო განაცხადის გამო ჯერ კიდევ დავობენ, გუნდის მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი იძულებულია განმარტოს, რატომ გააკეთა ესა თუ ის არჩევანი. მაგალითად, „მილანის“ თავდამსხმელის, ფილიპო ინძაგის შესახებ ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მას უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა, ინძაგი ნაკრებს მილმა უნდა და- ეტოვებინა. შეგახსენებთ, რომ მილანელი გასულ სეზონში ნიადაგ ფეხს იტკივებდა, შემდეგ კოჭის ოპერაციაც გაიკეთა და თითქოს ტრავმაც მოირჩინა, მაგრამ მწვრთნელმა ფორმის აღდგენაზე მუშაობა არ აცალა

„ინძაგის საათზე მეტხანს ველაპარაკე და ამიტომ ვერ გამიგია, რატომ ატეხეს ამოდენა ამბავი — ბრძანა ტაქტიკოსმა — თუმცა, მეორე მხრივ, დავა-კამათი მაკარონზე მოსხმული საწებელასავითაა და იტალიელებს ძალიან გვიყვარს. მე ერთხელ ვიტყვი, მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ინძაგი სულ ახლახან დაშავებული გახლდათ. „მილანის“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის 20 წუთით მაინც რომ ეთამაშებინა ჩემპიონატის ბოლო მატჩებში, მიზეზად მოვიდებდი და წავიყვანდი, მაგრამ კლუბი თავად ვერ ენდო“.

კიდევ „იუვენტუსის“ ლეგენდარულ მწვრთნელს, პარმელი ახალგაზრდის, ალბერტო ჯილარდინოს და „ბრეშას“ დიადი რობერტო ბაჯოს არწყვანას საყვედურობდნენ. შეგახსენებთ, რომ ჯილარდინომ გასულ სეზონში სერია A-ში 23 გოლი გაიტანა.

ტრაპმა განმარტა: „ისინი რომ ჩამეწერა, ვინ უნდა დამეტოვებინა ნაკრებს გარეთ? ყველა ყოჩაღია იმის თქმაში, თუ ვინ იყო წასაყვანი, მაგრამ ვერავინ ამბობს ვის მაგივრად. სამაგიეროდ, მე ვერკვევი ამ ყველაფერში ძალიან კარგად და ვიცი, რომ მოტივირებული გუნდი მყავს, რაც შესარჩევ ციკლში დავინახეთ ყველამ“.

აღსანიშნავია, რომ ტრაპმა თავისი ვარსკვლავები დღეს შეკრიბა კოვერჩანოში და ევრო 2004-ისთვის ბოლო სამზადისი დაიწყო.

თუმცა იტალია რთული და დიდი ქვეყანაა: იქ დღესვე ეძებენ სპეციალისტს, რომელიც ევრო 2004-ის შემდეგ ტრაპატონის შეცვლის. საინტერესოა, რომ ამის შესახებ ჟურნალმა „გუერინ სპორტივომ“ თავად ტრაპს ჰკითხა:

„მარჩელო ლიპისა და ფაბიო კაპელოს აქვთ ნაკრების გაძღოლისთვის საკმარისი გამოცდილება“ — მიუგო ტრაპმა.

შეგახსენებთ, რომ მწვრთნელის კონტრაქტს იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაუვა ყავლი. ერთი სიტყვით, „სკუადრა აძურას“ ახალი თავკაცი სჭირდება და დღეს ისე ჩანს, რომ ამ თანამდებობისთვის ყველაზე შესაფერი „იუვენტუსიდან“ ორი კვირის წინ წასული და ამწუთას უმუშევარი მარჩელო ლიპი უნდა იყოს.

ხოლო, რაც შეეხება ევრო 2004-ის შანსებს, ტრაპატონის მიაჩნია, რომ ამ შანსს იტალიის ნაკრებს გამორჩეული ვარსკვლავი, ფრანჩესკო ტოტი უქმნის.

„ტოტი ის კაცია, ვინც სხვებთან შედარებით უპირატესობას ქმნის. ასე განსაჯეთ, ფრანგებს ზიდანის გარეშე ისე არ გაუჭირდებოდათ, როგორც ჩვენ ტოტის გარეშე“ — თქვა ტრაპმა და ფავორიტების დახასიათებას შეუდგა:

„საფრანგეთი საფრანგეთია, შემდეგ მოდიან პორტუგალია და ინგლისი, თუმცა ყველაზე საშიში გუნდი შეიძლება ჩეხეთის ნაკრები იყოს“.

მაგრამ C ჯგუფში იტალიელებს ამ გუნდებიდან არც ერთი არ ჰყავთ. იქ არიან დანია, ბულგარეთი და შვედეთი.

„მგონი ყველაზე რთული მეტოქე ამათგან დანია უნდა იყოს. გარდა ამისა, მათთან პირველი თამაში გვაქვს, პირველი თამაში კი მნიშვნელოვანი ფაქტორია, კარგი სტარტი ხომ ბევრს ნიშნავს“ — დასძინა ჯოვანი ტრაპატონიმ.

პაპუნა კედია

ინტერმა კაკაზე უარი თქვა

გინდათ, საინტერესო ამბავი გითხრათ? ბრაზილიელი კაკას ყიდვა სამი წლის წინ „ინტერს“ შეეძლო, მაგრამ უარი თქვა. მოვუსმინოთ ჯინო კორიონის, „ბრეშას“ პრეზიდენტს:

„მაშინ ეს ფეხბურთელი 13 მილიონ დოლარად გვეძლეოდა, მაგრამ ჩვენ ამდენი ფული არ გვქონდა და გადავწყვიტეთ, თანხის ნახევრის გადახდა „ინტერისთვის“ შეგვეთავაზებინა, ცხადია, ბრაზილიელის მეპატრონენიც საზიაროდ ვიქნებოდით, მაგრამ შავ-ლურჯებმა უარი თქვეას.“

ახლა კი რა ხდება? ბრაზილიელი სერია A-ს მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს. ის, მოგეხსენებათ, „მილანში“ თამაშობს, ხოლო „მილანმა“ კაკა „სან პაულუსგან“ 2 მილიონით ნაკლებად იყიდა.

ძნელი არ არის ამ ბიჭის ნიჭის დანახვა, მე პირადად ვიდეოკასტის სამწუთიანი დატრიალება მეყო, რომ მივმხვდარიყავი — კაკა მიშელ პლატინის მომავალი მოცილეა“ — დასძინა კორიონიმ და ამით, ალბათ, „ინტერის“ შეფებს გაუხეთქა გული.

პაპუნა კედია

მილიონი გირვანქა ლარსონისთვის

ჰენრიკ ლარსონი „სელტიკს“ გამოეთხოვა. საგანგებო მატჩი, რომელიც კლუბმა ლარსონს მოუწყო და რომლის შემოსავალიც მთლიანად ფეხბურთელს გადაეცა, „სელტიკმა“ ესპანურ „სევილიასთან“ გამართა.

დაახლოებით მილიონი გირვანქა, ამ მატჩის მთელი შემოსავალი, აწ უკვე კლუბის ისტორიულ მოთამაშედ შერაცხულმა შვედმა ფეხბურთელმა დამსახურებულად მიიღო. ლარსონი „სელტიკის“ ისტორიაში რიგით მესამე ბომბარდირია, თუმც როგორც ხდება ხოლმე, გამოსათხოვარ თამაშში გოლი ვერ გაიტანა: გლაზგოელებმა კრის სატონის თავურით მოიგეს.

თამაშის შემდეგ ლარსონმა მთელს „სელტიკ პარკს“ მიმართა და თქვა, რომ ბოლო კვირების განმავლობაში გრძნობდა ფანტასტიკურ დამოკიდებულებას გულშემატკივრებისაგან, რომლებმაც უკვე იცოდნენ, რომ ის მიდის. გასულ შაბათს „სელტიკმა“ თასის ფინალი მოუგო „დანფერმლაინს“ და შვედმა ამ მატჩში დუბლი შეასრულა.

სეზონში 41 გოლი საუცხოოა, მაგრამ კიდევ უფრო საუცხოოა ლარსონის „სელტიკური“ მონაგარი — 242 გოლი 315 მატჩში.

ვარაუდობენ, რომ თავის ახალ გუნდს ლარსონი ევრო-2004-ის შემდეგ შეარჩევს და სავარაუდოდ, ესპანურ ლიგაში ითამაშებს.

ევროპის ახალგაზრდული (U-21) ჩემპიონატი
გერმანია (27 მაისი – 8 ივნისი)

A ჯგუფი
იტალია, სერბეთი, ხორვატია, ბელარუსი

27 მაისი	----------	ობერჰაუზენი ----------	სერბეთი — ხორვატია
27 მაისი	----------	ბოხუმი ----------	იტალია — ბელარუსი
29 მაისი	----------	ობერჰაუზენი ---------	ბელარუსი — ხორვატია
29 მაისი	----------	ბოხუმი ----------	იტალია — სერბეთი
1 ივნისი	----------	ბოხუმი ----------	იტალია — ხორვატია
1 ივნისი	----------	ობერჰაუზენი ----------	ბელარუსი — სერბეთი

B ჯგუფი
გერმანია, შვეიცარია, პორტუგალია, შვედეთი

28 მაისი	--------	მაინცი ----------	გერმანია — შვეიცარია
28 მაისი	--------	მანჰაიმი ----------	შვედეთი — პორტუგალია
30 მაისი	--------	მანჰაიმი ----------	გერმანია — შვედეთი
30 მაისი	--------	მაინცი ----------	შვეიცარია — პორტუგალია
2 ივნისი	--------	მაინცი ----------	გერმანია — პორტუგალია
2 ივნისი	--------	მანჰაიმი ----------	შვეიცარია — შვედეთი

ნახევარფინალი

5 ივნისი	----------	ობერჰაუზენი --------	A1 — B2
5 ივნისი	----------	ბოხუმი ----------	B1 — A2

მატჩი მე-3 ადგილისთვის 8 ივნისს ობერჰაუზენში
ფინალი 8 ივნისს ბოხუმში

Copa Toyota Libertadores '2004
ლიბერტადორესის თასი 2004

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:1(პენ.4:3) სან კაეტანო (ბრაზილია) (0:0)
0:1 ჟილბერტო (58), 1:1 ბარიხო (70)

ჰოლანდია

გადამასყვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. III ტური

ჰელმონდი 2:2 ვიტესი
ვენლო 0:2 სპარტა

ვიტესი	3	2	1	0	10:3	7
სპარტა	3	1	1	1	5:5	4
ვენლო	3	1	0	2	6:7	3
ჰელმონდი	3	0	2	1	4:10	2

B ჯგუფი. III ტური

ექსელსიორი 2:1 ვოლენდამი
ჰერაკლესი 2:0 გრაააფსხაპი

ჰერაკლესი	3	3	0	0	7:0	9
ექსელსიორი	3	1	1	1	2:2	4
გრაააფსხაპი	3	1	1	1	1:2	4
ვოლენდამი	3	0	0	3	1:7	0

ამსანაგური მატჩი

კატალონია 2:5 ბრაზილია
0:1, 0:2 რონალდო (16, 37), 0:3 რიკარდო ოლივეირა (52), 0:4 ფულიო ბაპტისტა (65), 1:4 ხერარდი (75), 2:4 სერხიო გარსია (90), 2:5 ფულიო ბაპტისტა (90)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი						
		29 მაისი						
19.00	002	ვესტ ჰემი-კრისტალ პალასი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.00	003	ბრისტოლი-ბრაიტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი						
		31 მაისი						
19.00	004	მენსფილდი-ჰადერსფილდი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური						
		29 მაისი						
21.30	055	ალავესი-ლეგანესი	1,55	3,0	6,0	1,02	1,23	2
21.30	056	კორდობა-ტერასა	2,0	2,8	3,6	1,16	1,28	1,57
21.30	057	მალაგა ბ-სიუადადი	2,3	2,5	3,4	1,19	1,37	1,44
22.00	058	სპორტინგი-ტენერიფე	1,5	3,1	6,5	1,01	1,21	2,09
		30 მაისი						
15.00	059	სეტაფე-ნუმანსია	2,2	2,7	3,4	1,21	1,33	1,5
22.00	060	სალამანკა-ესიდო	2,0	2,7	3,8	1,14	1,31	1,57
22.00	061	ალხესირასი-ელჩე	3,3	2,7	2,0	1,48	1,24	1,14
22.00	062	კადისი-ლევანტე	2,8	2,7	2,5	1,37	1,32	1,29
23.00	063	უელვა-რაიო	1,7	3,4	3,4	1,13	1,13	1,7
23.00	064	ალმერია-ეიბარი	1,9	2,9	3,6	1,14	1,24	1,6
24.00	065	ლას პალმასი-სერესი	1,5	2,9	3,6	1	1,05	1,6
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		28 მაისი						
23.00	072	გრაფსსაპი-ჰერაკლესი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
23.00	073	ვოლენდამი-ექსელსიორი	3,2	3,4	1,8	1,64	1,15	1,17
23.00	074	სპარტა-ვენლო	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
23.00	075	ვიტესი-ჰელმონდი	1,3	4,2	7,5	1	1,1	2,69
		ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი						
		27 მაისი						
23.00	082	ოსტენდე-ტუბეკე	1,9	3,3	3,3	1,2	1,2	1,65
23.00	083	რუსელარე-ვეელი	1,4	3,6	5,3	1	1,1	2,14
		დანია. სუპერლიგა. XXXIII ტური						
		29 მაისი						
18.00	085	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,85	3,4	3,5	1,19	1,21	1,72
18.00	086	ბრიონდბიუ-აკადემისკი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
18.00	087	ესბიერგი-ფრემი	1,4	4,2	6,5	1,04	1,15	2,55
18.00	088	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	6,5	4,2	1,4	2,55	1,15	1,04
18.00	089	ოდენსე-ჰერფიოლგე	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
18.00	090	ორჰუსი-ვიბორგი	2,0	3,4	3,2	1,25	1,23	1,64
		დანია. I დივიზიონი. XXVII ტური						
		30 მაისი						
16.00	093	ფრემადი-რანდერსი	4,0	3,8	1,65	1,94	1,16	1,15
		31 მაისი						
16.00	094	იოლსტეგე-ფრედერისია	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
16.00	095	ბ 93-ბ 1913	1,35	4,4	6,0	1,03	1,1	2,53
18.00	096	სიონდერიულანდი-კიოგე	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
18.00	097	ჰორსენსი-სილკებორგი	3,3	3,5	1,85	1,69	1,18	1,21
18.00	098	ნიკობინგი-ვეილე	1,7	4,0	3,0	1,19	1,08	1,71
18.00	099	ფკ ორჰუსი-სკიოლდი	2,0	3,6	2,4	1,28	1,09	1,44
18.00	100	ბრიონსჰიოი-ნორდიულანდი	2,0	3,5	2,7	1,27	1,14	1,52
		შვედეთი. სუპერეტა. VII ტური						
		31 მაისი						
19.00	111	ბოდენსი-ჰეკენი	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
21.00	112	ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი	1,3	4,4	7,5	1	1,1	2,77
21.00	113	ასირისკა-ენჩიოპინგი	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
21.00	114	აგვიდაბერგი-ფრისკა	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
21.00	115	ბრაგე-ბრომაპოიკარნა	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
21.00	116	გეფლე-იოსტერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
21.10	117	გაის-ფრიოლუნდა	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		ნორვეგია. ტიპელიგა. IX ტური						
		31 მაისი						
21.00	121	ტრომსიო-ვოლერენგა	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.00	122	ჰამარი-ლილესტრიომი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
21.00	123	სტაბეკი-ვიკინგი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.00	124	ბოდიო გლიმტი-ფრედრიკსტადი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
21.00	125	ლინი-ბრანი	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
23.05	126	სოგნდალი-რუსენბორგი	5,0	3,8	1,55	2,15	1,18	1,1
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. VI ტური						
		27 მაისი						
20.00	142	მიუპა-ალიანსი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.30	145	იარო-როვანიემი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
		30 მაისი						
20.30	144	ჰაკა-ჰაამეენლინა	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
20.30	146	ინტერი-პიკ	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.30	147	კტპ-ტურკუ	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
20.30	148	ვაზი-ლაჰტი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
20.30	149	ტამპერე-როვანიემი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. III ტური						
		27 მაისი						
00.15	154	აკურეირი-ვესტმანაეიარი	2,1	3,1	3,1	1,25	1,25	1,55
00.15	155	რეიკიავიკი-ვიკინგური	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
00.15	156	გრინდავიკი-ფილკირი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
00.15	157	ჰარფნარფიორდური-კეფლავიკი	1,95	3,1	3,4	1,19	1,23	1,62
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIII ტური						
		28 მაისი						
23.30	163	უოტერფორდი-კორკი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
23.45	164	შელბურნი-ბოჰემიანი	1,85	3,1	3,8	1,15	1,24	1,7
23.45	165	სტ.პატრიკს-დუბლინი	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74
		29 მაისი						
23.30	166	დერი-დროგედა	2,35	3,0	2,9	1,31	1,29	1,47
23.30	167	ლონგფორდი-შმროკი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		უკრაინა. პრემიერლიგა. XXVII ტური						
		29 მაისი						
16.00	171	მეტალურგი-ჩერნომორეცი	1,65	3,2	5,0	1,08	1,24	1,95
16.00	173	დინამო-კრიებასი	1,05	6,0	12,0	1	1	4
		პოლონეთი. I ლიგა. XXVI ტური						
		30 მაისი						
22.00	192	ოდრა-პლოცკი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		უნგრეთი. NB1. XXXII ტური						
		27 მაისი						
00.30	194	ფერენცვაროში-დებრეცენი	2,15	3,1	2,8	1,26	1,21	1,47

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მექსიკა. კლაუსურა						
		27 მაისი						
01.05	247	ტოლუკა-ამერიკა	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
06.45	248	აგლასი-პუმასი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
		გერმანია. თასი. ფინალი						
		29 მაისი						
23.00	261	ვერდერი-ალემანია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		საფრანგეთი. თასი. ფინალი						
		29 მაისი						
23.45	262	პსჟ-შატორუ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
		შვედეთი. თასი. III ეტაპი						
		27 მაისი						
22.00	263	სუნდსვალი-ენჩიოპინგი	1,35	4,4	6,5	1,03	1,11	2,62
22.00	264	იორგრიტე-ატვიდაბერგი	1,3	4,4	7,5	1	1,1	2,77
		რუსეთი. თასი. ფინალი.						
		29 მაისი						
16.00	265	კრილია-ტერეკი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		უკრაინა. თასი. ფინალი						
		30 მაისი						
16.00	266	შახტარი-დნიპრო	2,5	2,8	2,7	1,32	1,29	1,37
		ლიბერტადორესის თასი						
		27 მაისი						
05.30	272	ონსე კალდასი-სანტოსი	2,3	3,1	2,7	1,32	1,24	1,44

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ამხანაგური მატჩები						
		27 მაისი						
22.00	285	ნორვეგია-უელსი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
23.30	286	ესტონეთი-შოტლანდია	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
23.30	287	გერმანია-მალტა	1,02	8,0	30,0	1	1	6,31
23.30	288	ირლანდია-რუმინეთი	2,0	3,1	3,5	1,21	1,27	1,64
		28 მაისი						
20.45	289	საფრანგეთი-ანდორა	1,01	9,0	40,0	1	1	7,34
22.00	290	ფინეთი-შვედეთი	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
		29 მაისი						
19.00	291	ირლანდია-ნიგერია	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
23.00	292	პოლონეთი-საბერძნეთი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
23.15	293	პორტუგალია-ლუქსემბურგი	1,01	9,0	40,0	1	1	7,34
23.15	294	ხორვატია-სლოვაკეთი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03
23.30	295	ჰოლანდია-ბელგია	1,5	3,4	6,5	1,04	1,21	2,23
		30 მაისი						
16.00	296	ისლანდია-იაპონია	3,4	3,2	1,9	1,64	1,21	1,19
18.00	297	შოტლანდია-ტრინიდადი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
18.30	298	უელსი-კანადა	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
22.00	300	ესტონეთი-დანია	5,6	3,4	1,55	2,11	1,21	1,06
24.00	301	ტუნისი-იტალია	3,6	2,9	1,95	1,6	1,26	1,16
		კალათბურთი. ესპანეთი						
		27 მაისი						
23.00	1111	უნიკახა-ბარსელონა	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
		28 მაისი						
23.30	1112	ესტუდიანტესი-ტაუ	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		21 ივნისი						
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
		22 ივნისი						
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,[illegible]	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

ვატო ნაცვლიშვილი საფრანგეთში უკვე კარგად ნაცნობი კაცია

გაურკვეველი წინათგრძნობები

ვინ იქნება ნაკრების ლიდერი? ხუთეულის წევრი? კანდიდატი?

— ახლა, როცა სეზონი ჩავლილია, გამართლებულად მიიჩნევ პორტუგალიიდან საფრანგეთში გადასვლას?

— ამ გადმოსახედიდან გამართლებულად ჩანს, მაშინ კი მართლაც რისკზე წავედი. ფეხის ტრავმა მაწუხებდა და ასეთ მდგომარეობაში გაცილებით ძლიერ ჩემპიონატში გადასვლას შესაძლოა, უარყოფითი შედეგი გამოეღო.

— დიდი სხვაობაა პორტუგალიურ და ფრანგულ ლიგებს შორის?

— საკმაოდ დიდი, საფრანგეთში თითქოს უმაღლესი ევროპული დონეა. ბევრი მაღალი დონის კალათბურთელი თამაშობს, რომელთა ხელფასებიც სეზონში ასობით ათასი დოლარია. ტრავმირებულს თამაში რომ არ წამსვლოდა, მთელი სეზონი ჩამივარდებოდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ამით მეც მოვიგე და „დიჟონმაც“.

— „დიჟონმა“ მისთვის სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ამ გუნდს აქამდე თითქმის არ ჰქონია მიღწევები...

— ეს სეზონი მართლაც საუკეთესო იყო „დიჟონის“ ისტორიაში. გუნდმა პირველად მოიგო საფრანგეთის თასი, გავიდა ევროპული ტურნირის ფინალში და შინაური ჩემპიონატის პლეი ოფში.

— წარმატებას ვის და რას უკავშირებენ?

— პირველ რიგში, მწვრთნელს, არა იმიტომ, რომ „დიჟონის“ თავკაცმა რამე სასწაული გააკეთა, უბრალოდ, კალათბურთში ასეა — იგებს მწვრთნელი.

— და მაინც, „დიჟონის“ ლიდერებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით...

— რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერებმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს.

— ლიდერზე იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ სადაც კი გითამაშია, ყველგან წამყვანი იყავი, „დიჟონში“ კი „კონკურენტებიც“ გყავდა...

— ეს ბუნებრივია, საფრანგეთი პორტუგალია არაა. გუნდის ბირთვი მე და კიდევ ორი მოთამაშე ვიყავით. ისე კი, თუ ლიდერს საერთო სტატისტიკური მაჩვენებლებით გამოვიყვანთ, ყველაზე სასარგებლო ამ სეზონში მე ვიყავი „დიჟონისთვის“.

— ბომბარდირი ხომ კანადელი ბარეტი გახდა?

— ჰო, მაგრამ ქულების გარდა არსებობს მოხსნები, ჩაჭრები, დაფარებები და კიდევ მრავალი სათამაშო მაჩვენებელი, საიდანაც სარგებლიანობის საერთო კოეფიციენტი გამოჰყავთ. აი, ამ მაჩვენებელების ჯამში ვაჯობე დანარჩენებს. აბა, ქულებით ბარეტს სად გამოვეკიდებოდი, ის მსროლელია, მე კი ცენტრი, ფარქვეშ მიწევდა ჯაჯგური.

— ცენტრი?

— ჰო, იძულებული ვიყავი, გუნდის ინტერესების გამო ამპლუა შემეცვალა. ჩემს იქ ყოფნაში 7 ამერიკელი მოიყვანეს გასასინჯად, მაგრამ ჩემზე უკეთ ცენტრი ვერავინ დააყენა და... ისე კი, თანამედროვე კალათბურთში თავდამსხმელსა და ცენტს შორის დიდი განსხვავება აღარაა, ისევე, როგორც მსროლელსა და ფრთას შორის.

— რაიმე პირადი ტიტული თუ დაიმსახურე?

— ისეთი არაფერი, არევრო კავშირელთა შორის მესამე ვიყავი. პირველ ადგილზე გავიდა „ლე მანის“ ხორვატი ლეგიონერი, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის ორივე მატჩში ვაჯობე — „დიჟონმა“ კი ორჯერვე გაიმარჯვა.

— საფრანგეთში მოთამაშე სხვა ქართველებზე რას იტყვი?

— მე მხოლოდ ვიქტორ სანიკიძის თამაშს ვადევნებ თვალს და ეს ბიჭი ძალიან მომწონს. თავიდან ის დუბლებში სათამაშოდ მოიყვანეს და იმდენს მიაღწია, რომ „დიჟონის“ ძირითად შემადგენლობაში დაიმსახურა ადგილი. მომავალ სეზონში სანიკიძე ხუთეულში თუ არა, მეექვსე-მეშვიდე კაცი აუცილებლად იქნება. ვიქტორს სულ ვარიგებ, მიღწეულზე არ უნდა გაჩერდე-მეთქი. მაგის ტოლი რომ ვიყავი, ეროვნული ნაკრების ძირითადში ვთამაშობდი. სანიკიძეც ითამაშებს ნაკრებში.

— სანიკიძემ რომ მაღალ სანაკრებო დონეზე ითამაშოს, ჯერ თქვენ უნდა მოახერხოთ საკვალიფიკაციო ტურნირის გავლა. რას ფიქრობ, მოახერხებთ?

— ადრე ნაკრების წინასამატჩო ინტერვიუებში სულ იმას გავიძახოდით, მოვიგებთ, მოვიგებთო. ის ალბათ ახალგაზრდული ჟინის ბრალი იყო, რადგან საბოლოოდ სულ ვაგებდით. ჩვენ გვყავს ნბა-ს მოთამაშეები, ევროპელი ლეგიონერები, მაგრამ არ გვყავს მთავარი — უკანახაზელები. არადა, მატჩის მსვლელობისას 70 პროცენტი გამთამაშებელი ფლობს ბურთს, წინახაზელები შემსრულებლები არიან, რომლებამდეც ბურთს მიტანა უნდა. მე თუ ბურთს მივიღებ, ჰა-ჰა, 3-4 წამი მიჭირავს და მერე ვესვრი. ასეთივე სტილი აქვს ჩვენი ლეგიონერების 80 პროცენტს. ასე რომ, გამთამაშებლის პრობლემა ყველაზე მტკივნეულია ჩვენთვის. ეს ივივეა, ფეხბურთელები მეკარეს გარეშე რომ გავიდნენ სათამაშოდ. მაკედონიას კი სწორედ უკანა ხაზში ულხინს: ილიევსკი, ნაუმოსკი, სტეფანოვი — ეს კალთბურთელები ევროლიგას აზანზარებენ და ჩვენ რას გვიზამენ.

— ეროვნული ნაკრების ლიდერი ვინ ხარ?

— ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეკამათებოდა, ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეკამათებოდა. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეკამათებოდა. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეკამათებოდა.

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

II წრე გარმეორებითი პარტიები

ალისა გალიამოვა (რუსეთი) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 0:1 (0:1)
მარი სებაგი (საფრანგეთი) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 0:1 (0:1)
ივეტა რაძიევიჩი (პოლონეთი) — ნანა ძაგნიძე (საქართველო) 0,5:0,5 (0:1)
ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) — ირინა კრუში (აშშ) 1:0 (0,5:0,5)

III წრე

იანა იაცკოვა (ჩეხეთი) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველოში) 0:1
მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — ნანა ძანგიძე (საქართველო) 0:1
ნატაშა ბოჟკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია) — ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) 0:1

მხოლოდ ქართველთა შედეგები

დაქალობა აღარ გავიდა ქართველები ერთმანეთს ჭადრაკს ეთამაშნენ

ერთი რამ უკვე ცხადია, თუ მესამე წრე მაია ჩიბურდანიძემ წარმატებით გაიარა, ნახევარფინალში ერთი ქართველი ნამდვილად გვეყოლება. საქმე ისაა, რომ კენჭისყრამ მესამე წრეში ერთმანეთს ლომინეიშვილი და ძაგნიძე შეახვედრა, ხოლო მათ შორის გამარჯვებულს იაცკოვა — ჩიბურდანიძეს შორის უძლიერესთან მოუწევს პაექრობა.

მეორე წრეში და ამის კარგი შანსიც აქვს, სენსაციებიც დაფიქსირდა და, ჩვენდა სასიხარულოდ, ერთ-ერთის ავტორი ლომინეშვილია. ხუმრობა ხომ არ არის, მაიამ ჩემპიონატის ფავორიტი, რუსთა მთავარი იმედი ალისა გალიამოვა გამოუშვა ელისტიდან. ალისას კი ფეხდაფეხ ორი თანამემამულე — სვეტლანა მატვეევა და ჩემპიონატის მშვენება ალექსანდრა კოსტენიუკიც მიჰყვნენ.

მესამე წრის „ქართულ“ პარტიებში შავებით მოთამაშეებმა იმარჯვეს. 57 სვლა გასტანა ლომინეიშვილ-ძაგნიძის პარტიამ. შეგახსენებთ, რომ წელს საერთაშორისო სარბიელზე ეს მათი მეორე შეხლა იყო და პირველად ისინი ევროპის ჩემპიონატზე მეშვიდე ტურში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა და ქართველებმა მე-8 სვლაზევე გაიყვეს ქულა.

ახლა სხვა შემთხვევაა და ელისტაში ჩვენებურმა გოგონებმა უბრძოლველად ერთი უჯრაც არ დაუთმეს ერთმანეთს. დებიუტი ლომინეიშვილმა ლაზიერის გამბიტით არჩია და მარჯვენა მხარეს ფიგურების მობილიზებას შეუდგა. იერიში პირველმა ძანგიძემ წამოიწყო და მე-20 სვლაზე პაიკიც მოიგო. პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, სადაც კვლავ ძანგიძემ იძალა და თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მოსაგებად თითქმის ორჯერ ნაკლები სვლა დასჭირდა ჩიბურდანიძეს. მაია თავიდანვე აქტიურად ჩაერთო თამაშში და ჩეხ იანა იაცკოვას საწყის შვიდ სვლაში ლაზიერი ორ პაიკთან ერთად გაუცვალა. ქართველმა ყურადღება მეფის ფლანგისკენ გადაიტანა, იქ სათარეშოდ მსუბუქი კოჰ ორტა გაუშვა და მეტოქის ფიგურებს სამოძრაო გზები მოუშთო. ჩეხსაც სხვა არაფერი დარჩენოდა და 29-ე სვლაზე დამარცხება აღიარა.

ლაზა გეგეჭკორი

პირმშვენიერი ალექსანდრა კოსტენიუკი მოსალოდნელზე მალე გავარდა

ზოგჯერ ცრურწმენაც მოქმედებს

კოსტენიუკი სალმა აზროვნებამ დაღუპა

ჭადრაკის მოთამაშეთა დიდი ნაწილი ძალიან ცრუმორწმუნეა, განსაკუთრებით ქალები. ჩემპიონატის მსვლელობისას მათთან ინტერვიუს აღება შეიძლება გმირობად შეფასდეს, თუმცა სასიამოვნო გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი დარწმუნებულია, რომ პრესასთან ურთიერთობა თამაშს სრულიად არ უშლის ხელს და საუბარზეც სიამოვნებით თანხმდება.

ყველასგან მოულოდნელად, ჭადრაკის ანა კურნიკოვა მეორე წრიდან გამოეთიშა ჩემპიონატს. ასე რომ, გამოდის ამ ცრურწმერის „უგულვებელყოფით“ მან მხოლოდ წააგო. ვინ იცის, იფიქრა — პირველი წრის გავლის შემდეგ მეც უნდა შემეკავებინა თავი ამ ინტერვიუსგანო. ეს ეს ინტერვიუც

— რა გრძნობით ჩამოხვედით ელისტაში?

— ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ ჩემპიონატი აქ, ყალმუხეთში გაიმართებოდა. ელისტაში ხალხი ყოველთვის დიდი სიყვარულით მხვდება. აქ თავს თავისუფლად ვგრძნობ.

— როგორ ემზადებოდით ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირისთვის?

— სამწუხაროდ, მოსამზადებლად დიდი დრო არ მქონია და ჩემს პირველ მეტოქე მარია სერგეევასთან სათამაშოდ ხეირიანად ვერ მოვემზადე. ამიტომ ჩემი მთავარი მიზანი მასთან გამარჯვება იყო და დანარჩენი მერე გამოჩნდებოდა. სერგეევასთან პარტიისას მამამ რჩევა მომცა, მაგრამ არ დავუჯერე, ჩემი ვარიანტით ვითამაშე და, როგორც ხედავთ, ქალურმა ლოგიკამ აჯობა.

— თვითონ სერგეევასთან შეხვედრამ თუ გარგოთ?

— ნაწილობრივ კი. სერგეევამ ჩემთან გამოიყენა დებიუტი, რომლისაც ჩემს ლაბორატორიაში არ ვთამაშობ ხოლმე. ამ დროისთვის ეს ვარიანტი ჩემს მწვრთნელ ალექსეი კოროტილევთან განვიხილე. მარიასთან თამაშისას კი მივხვდი, რომ მას უახლესი კომბინაციები კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და ამიტომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო პარტია გამოგვივიდა.

— რა მიზანს ისახავთ ამ ჩემპიონატზე?

— მოვემზადო უფრო უკეთესად. დამეთანხმებით, ვინც უკვე გავარდა, ვერ იქნებოდა კარგ ხასიათზე. საწყენია, რომ ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით მიმდინარეობს და ერთი პატარა შეცდომაც შეიძლება საბედისწერო გახდეს. დრეზდენში, ევროპის ჩემპიონატზე, გეხსომებათ, პირველი სამი ტური ჩავაგდე, მაგრამ ეს ტრაგედიად არ აღმიქვამს, დანაკარგი მომდევნო ცხრა ტურში დავიბრუნე და საბოლოოდ ჩემპიონიც გავხდი.

— ცრუმორწმუნე ხართ?

— წინათ ძალიან წრუმორწმუნე ვიყავი. ტურნირების განმავლობაში ინტერვიუებს არ ვიძლეოდი და როცა ჟურნალისტები მიღებდნენ, კამერის შეხედვისაც მეშინოდა. მას შემდეგ კი დრო გავიდა და მეც შევიცვალე. მივხვდი, რომ თუ კარგ ფორმაში ვარ, წარმატებაში ხელს არაფერი შემიშლის. იგივე ხდებოდა ჩაცმაშიც. გამარჯვებულს რაც მეცვა, აღარ ვიშორებდი.

— ჭადრაკი საკმაოდ პოპულარულია მთელ მსოფლიოში, როგორ ფიქრობთ, შეიძლება ის გახდეს სპორტის „მდიდარი“ სახეობა?

— უპირველესად ვფიქრობ, რომ ჭადრაკს რეკლამა სჭირდება. თუ ჩვენ ამას დიდ ყურადღებას დავუთმობთ, ბევრ სპონსორებს მოვიზიდავთ.

— მედია და ტელევიზია საკმაოდ დიდ დროს გითმობენ, ჭადრაკის ანა კურნიკოვასაც გეძახიან...

— გეთანხმებით. ეს დაიწყო „FIDE COMMERCE-ს“ პროექტით, რომელმაც მიმიწვია, როგორც მოდელი მოჭადრაკული ტანსაცმლის სადემონსტრაციოდ და აი, ხედავთ, რაც მივიღეთ...

პლეი ოფი. ფინალი

ის ტამპა აღარა ხარ!

25 მაისი

ტამპა 0:1 კალგარი

ტამპა 1:4 კალგარი

0:1 0:2 1:1

0:1 ჟელინა (4), 0:2 იგინლა (36), 0:3 იელი (39), 1:3 სან ლუი (45), 1:4 საიმონი (60)

ტამპა: ხაბიბულინი; კუბინა-სიდორი, ბოილი-ლაკოვიჩი, არატი-სარიჩი, კალიმორი; სან ლუი-ლეკავალიე-ფედოტენკო, სტილმანი-რიჩარდსი-მოდინი, აფანასენკოვი-ანდრეიჩუკი-ტეილორი, რუა დინგმანი

კალგარი: კიპრუსოფი; რეიე-მონტადორი, ფერგსი-უორნერი, ლეოპოლდი-კომოდორი; იგინლა-კონროი-ჟელინა, დონოვანი-ნისლონი-ნიემინენი, საიმონი-იელი-საპრიკინი, კლარკი-კობასიუ-ლეური.



ჯერომ იგინლა: ერთი შაიბა ჩემზეა

ესეც თქვენ ფინალის პირველი მატჩი! ვამბობდით, ამ სერიაში ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ასეთ შედეგს ძნელად წარმოვიდგენდით. „კალგარის“ გამარჯვება თავისთავად არ იყო გამორიცხული. მით უმეტეს, რომ „ალებმა“ წინა სერიებში სტუმრად უკეთ ითამაშეს, მაგრამ ვინ იფიქრებდა, ასე იოლად რომ მოიგებდნენ.

მატჩის დასაწყისი „კალგარის“ სასიკეთოდ მეტყველებდა. „ტამპა“ აქამდე ყოველთვის აქტიურად იწყებდა, ამჯერად კი მასპინძლები ბორტებთან ჯაჯგურსა და მჭიდრო თამაშს გადაჰყვნენ, რაც „კალგარის“ წისქვილზე ასხამდა წყალს. მე-4 წუთზე „ელვები“ გაცილებით არასაიმედო სიტუაციაში ჩაცვივდნენ, როცა კრეიგ კონროის შორეული დარტყმული შაიბა რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბოლოს მარტინ ჟელინას ფეხს მოხვდა და კარში შეძვრა. ამ კურიოზულმა გოლმა საერთოდ მოშალა ტამპელები. სადღა იყო მათი სწრაფი საფირმო შეტევები, თავიანთი ზონიდან შაიბიანად გამოსვლაც კი უჭირდათ. არ შეიძლება, არ ვთქვათ, „ალების“ ფორვარდებზე. საოცარია, სად მოძებნა გუნდის თავკაცმა 12 ისეთი ფორვარდი, რომლებიც გაწვრთნილი ძაღლებივით (გვაპატიოს მკითხველმა ეს შედარება) ეცემიან მეტოქეს და არაფრით არ ეშვებიან ბოლომდე. ძალიან უჭირდა „ტამპას“ მათი კლანჭებიდან თავის დაღწევა. თან სტუმრები დაცვით ტაქტიკას როდი ჩაებღაუჭნენ. ისინი უმცირესობაშიც კი ახერხებდნენ კონტრშეტევების განხორციელებას. პირველ ორ რიცხვმრავლობაში გადარჩა „ტამპა“, მაგრამ როცა მასპინძლებს კიდევ ერთი შანსი მიეცათ, მათ კვლავ გამოეპარათ კონტშეტევა და „ელვების“ კარისკენ მქროლავი ჯერომ იგინლას შემჩერებელი აღარავინ არ იყო. მართალია, ხაბიბულინმა პირველი დარტყმა გმირულად მოიგერია, მაგრამ „კალგარის“ ლიდერმა დამატებაზე იხეირა და პლეი ოფში თავისი მე-11 გოლი გაიტანა.

ეს მხოლოდ ნოკდაუნი იყო, ორ წუთში კი სტეფან იელმა ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. გოლიც სუფთა კალგარული გამოდგა. სტუმართა ფორვარდებმა კვლავ მეტოქის ზონაში იბრძოლეს, შემდეგ შაიბა იელს მიუვიდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა.

„ტამპასთვის“ ეს საბოლოო ლაზვარი იყო, „ელვებმა“ ბოლო მესამედში ინერციითღა გააგრძელეს თამაში, სულელური ჯარიმები მიიღეს და ამის გამო კიდევ ერთი გოლიც გაუშვეს, კრის საიმონისა და ოლეგ საპრიკინის ულამაზესი ორსვლიანი კომბინაციის შემდეგ.

„ვფიქრობ, სტუმრად კარგად კონცენტრირებულნი და მობილიზებულნი ვთამაშობთ და იოლად ვახორციელებთ ჩვენს სისტემას. ეგებ სხვა მიზეზიც არსებობს, მაგრამ მე მის შესახებ არაფერი ვიცი“ — თქვა მატჩის შემდეგ „კალგარის“ მცველმა მაიკ კომოდორმა.

ახლა „ტამპას“ თავკაცმა ჯონ ტორტორელამ ორი ღამე უნდა ათიოს და რაღაც ისეთი მოიფიქროს, რომ თავისი მოულოდნელად გაშეშებული შეგირდები გამოაცოცხლოს, თორემ ხალხი უკვე არ მალავს ირონიას. ამბობენ, ეს არის თქვენი „ტამპა“, რომელმაც „ფილადელფიას“ მოუგო?

სამეელ ღარიბიანი

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €



REUTERS პარი ზიდან

შავდები გაფერადდნენ

გავიზრდები და დიზაინერი გავხდები

ოცი, ათი წლის შემდეგ

იმის მიუხედავად, რომ საროლანგაროსეთში იმ დღეს ბევრი უნიჭიერესი ჭაბუკი თუ წიწკვი მეჩოგნე ბურთაობდა, მილეთის გამორჩეული ყურადღება მაინც ერთი, 47 წლის კაფანდარა მდედრის ჩოგნაობამ მიიპყრო.

ამ მდედრს თავისი სვიანი კარიერისას ყველაფერი მოუგია და ტიტულზარდახშაში 147 საერთეულო ჯილდო უდევს. ამ 147-დან ორი მას პარიზულ სეფეთხნარზევე აქვს ნაშოვნი, თანაც ამ ორიდან ბოლო — ზუსტად ოცი წლის წინ. როლანგაროსობაზე კი ჩოგანი უკანასკნელად ათი წლის წინ აქნია (რის მერეც უიმბლდონის ფინალსაც უწია და კონჩიტა მარტინესთან დამარცხდა). იმ სეზონის მერე ის საერთეულოდ აღარც ერთ სლემტურნირზე აღარ გარჯილა. მიხვდებით, მართა ნავრატილოვაზე მოგახსენებთ.

წლეულს კი ლეგენდარული დედათმავალი ათენის ოლიმპიადისთვის ემზადება და საამმიზნოდ მრავალ, ადრე წარმატებით გავლეგილ კორტზეც გამოდის. ყველა დროის ლამის საუკეთესო ქალმეჩოგნეს საშვს არსად ამადლიან, თუმცა შვილისა და, უფრო ხშირად კი, შვილისშვილის ტოლა გოგონებთან ტოლსწორად პაექრობას ის უკვე ვეღარ ახერხებს.

ასე მოხდა ამჯერადაც — 19 წლის არგენტინელმა ხისელა დულკომ, რომელსაც რეიტინგსიის 64-ე საფეხური უკავია, მარტინა დეიდას ძალზედ იოლად, 6:1, 6:3 აჯობა და კარიერის პირველი სლემგამარჯვებაც დამაჯერებლად მიითვალა.

ჩემპიონი ნემსზე ზის

შარშანდელ ჩემპიონ ხუან კარლოს ფერერის ბოლო მომენტამდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ითამაშებდა თუ არა საპირველწრეო მატჩს ტომი ჰაასის წინააღმდეგ. მაგრამ ექიმთა მიერ გაკეთებულმა ტკივილგამაყუჩებლებმა მტკივანი ნეკნები დაუამეს და მანაც ტიტულის დასაცველად პირველი ნაბიჯის გადადგმა შეძლო.

ნემსები მატჩამდე ნახევარი საათით ადრე გავიკეთე, მაგრამ ახლა ისევ ამტკივდაო, იძახდა 2-საათიანი და 46-წუთიანი მატჩის შემდეგ ესპანელი.

შეგახსენებთ, რომ სეზონის პირველი დიდი ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა მას ჩუტყვავილამ წაუმურდლა. ამის გამო დამცრობილი ფორმა მოგვიანებით კიდევ უფრო დაუმცრო მაჯისა და ნეკნის ტრავმებმაც და შედეგად — შარშან თიხნარზე ორი მარცხის წილ მონაგრული 21 გამარჯვების სანაცვლოდ, წლეულს მან იმდენივე მარცხის საპირწონედ ოდენ ხუთი მოგების დაგროვება შეძლო.

განგაშის ზარმა მისი ქომაგებისთვის უკვე ერთი თვის წინ შემოკრა, როცა 24 წლის ვალენსიელმა მონტე კარლოურ მასტერსტურნირზე პირველსავე წრეში თვისტომთან, შებერებულ ალექს კორეჩასთან დათმო და შარშან მორეწილი ტიტული დაკარგა.

მას შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ფერერო საერთოდ აღარ გამოჩენილა და უკვე ისიც კი საეჭვო იყო, შეძლებდა თუ არა საერთოდ პარიზში თამაშს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვეულება ტრავმებზეც უმტკიცესია. ფერერო როლან გაროსზე უკვე მეხუთედ გამოდის და ნახევარფინალს ერთხელაც არ გამოკლებია. და — იმის მიუხედავად, რომ ასე შორს წამსვლელს ახლა თითქოს არა ჰგავს — ვინ იცის, ეგებ ადგილის დედის დახმარებით მაინც გამოჰკრას ჩოგანი სასწაულს.

„იმედი მაქვს, მომდევნო მატჩისთვის კიდევ უფრო უკეთ ვიქნები — ამბობდა ის ტომი ჰაასთან 3:6, 6:4, 6:4, 6:2-ით მოგებული მატჩის შემდეგ — ექიმებს ნათქვამი აქვთ, ტკივილი სამ კვირაში გაგივლისო და ახლა უკვე სწორედ ეგ დროა.“

რაც შეეხება თავად ჰაასს, მას მთელი შარშანდელი სეზონი ნაოპერაციევი მხრის გამო გაუცდა და ზეპურ მარაქაში დაბრუნებას ალბათ ველარც ამ სეზონში მოასწრებს, თუმცა პირველსავე წრეში მაინცდამაინც ჩემპიონს რომ არ გადაჰყროდა, იქნებ ცოტა იქითაც გაეტია.

ფერა-დები გაი-ჩითენ

ვინუს და სერენა უილიამსები ჩოგნებს რომ ჩამოკიდებენ, მაკრატლებს დაიჭერენ — ეგ არახალი ამბავია და ამას წყალი არ გაუვა. ოღონდ დიზაინერული მისწრაფებები დებს უკვე ამთავითვე აიძულებთ, ბობოლა ტურნირებზე რაგინდრაფერი კაბებით გაი-ჩითონ ხოლმე.

ასეა ახლაც — სერენა, როგორც ეს ლაზიერს ეკადრება, მილეთს ვარდისფერი ზედა-ქვედითა და თმაში წითელი ყვავილით მოევლინა, უფრო ინტროვერტ-მოკრძალებულმა ვინუსმა კი თერთ მაისურას მწვანკანტიანი და მწვანედ ნაკუბოკრულარი ქვედაბოლო შეუხამა. მოკლედ, კარგი სანახავები იყვნენ, თუმცა სერენა მაინც განსაკუთრებით.

ჰო, ჩემს დას თვალს ვერ მოსწყვეტთო, იძახდა მერე ვინუსი. სერენა კი იმას მოგვიგებდა, არ არსებობს, დიდი მოდის პარიზელ მახვშებს ჩემი ზმანი არ მოეწონოთო: „ჩემ სტილს აქ ყოველთვის სათანადოდ აფასებენ, ამიტომაც როცა აქ ჩამოვდივარ, ვცდილობ, რამე არაჩვეულებრივი შევარჩიო.“



REUTERS პარი ზიდან

ირაკლი ლაბაძეს მესამე წრეში პირველად გასვლის შანსი ჰქონდა...

საკუთრივ ჩოგნაობას რაც შეეხება, დაიკოებს თავი არც ამ მხრივ შეურცხვენიათ — სუსტ მეტოქეებს იოლად გაუმკლავდნენ და უპრობლემოდ გაიმეორწრევეს.

აღსანიშნია ისიც, რომ პუბლიკა სერენას საკმაოდ თავაზიანად შეხვდა და არც თავად მეჩოგნეს მოუგონებია საყვედურით მისი და ჟუსტინ ენენ-არდენის შარშანდელი ნახევარფინალი — როცა, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, პარიზელები აშკარად და ერთგვარად უტაქტოდაც ქომაგობდნენ მათენოვან ბელგიელს.

26 მაისი. ოთხშაბათი

მეორე წრე

ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 2:6, 6:1, 6:2 **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო), **გილერმო კორია** (3, არგენტინა) — **ხუან მონაკო** (არგენტინა) 7:5, 6:1, 6:3; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:1; **ტიმ ჰენმანი** (9, ბრიტანეთი) — **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) 6:0, 6:3, 6:3; **ნიკოლას მასუ** (11, ჩილე) — **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) 6:3, 6:1, 6:0; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — **პარადორნ შრიჩაფანი** (13, ტაილანდი) 6:4, 7:5, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (22, არგენტინა) — **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) 7:5, 6:2, 6:2; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **მარიანო საბალეტა** (30, არგენტინა) 6:3, 6:4, 3:6, 6:4

ქალები

ტატიანა გარბინი (იტალია) — **ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) 7:5, 6:4; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) 6:0, 4:6, 6:1; **ნადია პეტროვა** (8, რუსეთი) — **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) 6:0, 6:1; **ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) 6:2, 6:2; **პაოლა სუარესი** (14, არგენტინა) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) 6:1, 6:4; **მარია შარაპოვა** (18, რუსეთი) — **რიტა გრანდე** (იტალია) 6:2, 6:0; **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (19, ისრაელი) — **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) 6:1, 7:5

არ გაუმართლა ირაკლი ლაბაძეს. პირველი წრის გავლის შემდეგ მას თითქოს მეორეშიც არ უნდა გასჭირვებოდა — წინა დღეს ექვსნახევარი საათი ნაჩოგნავებ ფაბრის სანტოროსთვის მარტო გამძლეობით უნდა ეჯობნა — მაგრამ გაუჭირდა და 2:1-დაწინაურების შემდეგ ორი სეტი დაუმარცხა ფრანგს.

ვითომ ვირუსის ბრალია?!

ვირუსული ინფექციით გატანჯული და ამის გამო როლანგაროსთვის სათანადოდ მოუმზადებელი ჟუსტინ ენენ-არდენი წლეულს ტიტულს რომ ვერ დაიცავდა, ამაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა, მაგრამ დაცვას თუ ასე მალე შეწყვეტდა, ეგ კი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა მუცლითმეზღაპრეებმა იცოდნენ.

იტალიელი ტატიანა გარბინი, ვინაც მსოფლიო რეიტინგსიაში ოდენ 86-ე ადგილზე დგას და ჩვენს კლავიატურაზეც ათასში ერთხელ თუ აიკრიფება ხოლმე, მართლაც არ უნდა ყოფილიყო ის წინააღობა, რომლის გადალახვასაც თუნდ მოჟანგული ჟუსტინი ვერ შეძლებდა. მაგრამ ახლა კავშირებით კილოში ლაპარაკს უნდა შევეშვათ და მკაცრ „თხრობით“ რეალობას დავუბრუნდეთ.

მაშ ასე, გოგო, ვინაც ბოლო ოთხი სლემტურნირიდან სამის (როლანგაროსობის, აშშ-ის და ავსტრალიის ღია პირველობათა) მოგება შეძლო, გუშინ ისე ოკრობოკროდ და უნდილად გაირჯა, მისგან არასოდეს რომ არ გვახსოვს.

შედეგად — ტურნირის 79-წლოვან ისტორიაში ის გახდა პირველი განთესილი მეჩოგნე, ვინაც მესამე წრემდე ვერ მიატანა. და იმავდროულად, არანჩა სანჩეს ვიკარიოს ანუ 1989 წლის შემდეგ ის გახლა პირველი ტიტულდამცველი, ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლა ასეთ ადრეულ ეტაპზე რომ შეწყვიტა.

სხვაფრივ: უსახელო მეტოქის დაჯაბნა გუშინ ასევე გაუჭირდა ტურნირის მეორე, უფრო სწორედ კი მთავარ ფავორიტ ამელი მორესმოსაც. თუმცა ზეპური მარაქიდან საამმომენტოდ ყველაზე ჯანმრთელმა ქალმა ანაბელ მედინა გარიგესის დაჩოქება მაინც შეძლო. ორ იოლად მოგებულ სეტს შუაში წაგებული გამოურია და ასე დაბინავდა მესამე წრეში. იქ ის კიდევ ერთ და კიდევ უფრო უსახელო ესპანელს, არანჩა პარა სანტონიას შეხვდება.

ახლა ფავორიტ კაცებზეც:

1998 წლის ჩემპიონ კარლოს მოიას სულ რაღაც 78 წუთი დასჭირდა საიმისოდ, რათა უკვე მეთერთმეტედ დაემარცხებინა თავის უახლოესი თვისტომ-მეგობარი ფერნანდო ვისენტე. ასევე სეტისწაუგებლად გაივაკა გილერმო კორიამაც — შარშანდელმა ნახევარფინალისტმა არგენტინელ მონაკოს უფრო მეტი, ორი საათი და 23 წუთი მოანდომა, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მონაკო ვისენტესთან შედარებით უმჯობეს ფორმაში გახლავთ.

თბილი სიტყვები ეკუთვნის ტიმ ჰენმანსაც, ვინაც უკვე მეოთხედ გააღწია როლანგაროსობის მესამე წრეში. აქვე გეტყვით, თიხნართან ყოველთვის მწყრალად მყოფ კუნძულელს მესამის იქით არასოდეს გადაუბიჯებია.

და კიდევ — მეცამეტე ნომრად განთესილ შრიჩაფანს აჯობა და უმალ ყურადღების ცენტრს დაუბრუნდა ტურნირის 1998, 2001 წლების ფინალისტი ალექს კორეჩა. 30 წელს გადაცილებულ სახელიან ვაჟკაცთა წარმატებანი კი ჩვენ ყოველთვის ჰალალად გვიხაროდა.

ლევან კელაურაძე

REUTERS გელ ზურკორნელიდან

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

ფინალი. ბელგიანელი. „ალფონსელი“. „ბაიერნი“

მონაკო (საფრანგეთი) 0:3 პორტუ (პორტუგალია)

0:1 კარლოს ალბერტო (39), 0:2 დეკო სოუზა (71), 0:3 ალენიჩევი (75)

მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივე (სკილაჩი 72), ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, სისე (ნონდა 64), როტენი, ჟიული (პრსო 23), მორიენტესი

სათადარიგონი: ტონი სილვა; ელ ფაკირი, პლასილი, ადებაიორი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში, კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა (პედრუ ემანუელი 85), დერლეი სილვა (მაკკარტი 78), კარლოს ალბერტო (ალენიჩევი 60)

სათადარიგონი: ნუნუ მორეირა; რიკარდუ კოშტა, ბოსინგვა, იანკაუსკასი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ნუნუ ვალენტე (29), კარლოს ალბერტო (40), ჟორჟე კოშტა (77)

მსაჯები: კიმ-მილტონ ნილსენი; იორგენ იეპსენი, იენს ლარსენი; კნუდ-ერიკ ფისკერი (ყველა დანია)

52 000 მაყურებელი

ჯარიმა: 10-14; **კუთხური:** 6-2; **კარისკენ დარტყმა:** 7-0; **კარში დარტყმა:** 0-3; **თამაშგარე:** 12-8

პორტუს ფორტუნა: მაურინიუ

რა დიდი ყოფილა პატარა ჟიული

პაპუნა კედია

„პორტუ“ მეორე გუნდია, რომელმაც ზედიზედ ორ სეზონში უეფას თასიც მოიგო და ჩემპიონთა თასიც.

„პორტუმ“ მეორედ მოიგო ჩემპიონთა თასი.

პირველად ეს ჩვიდმეტი წლის წინ მოხდა, როდესაც პორტუგალიელებმა მიუნხენის „ბაიერნს“ 2:1 მოუგეს, მეორედ კი წუხელ, როდესაც მათი მეტოქე გახლდათ „მონაკო“ და მის კარში გოლები კარლოს ალბერტომ, დეკომ და დმიტრი ალეინიჩევმა გაატანეს. სხვათა შორის, კარლოს ალბერტო ასაკით მესამეა ფინალში ოდესმე ნათამაშებ ჭაბუკთა შორის.

რაც შეეხება „მონაკოს“, ამ გუნდს კაპიტნის, ლუდოვიკ ჟიულის მე-20 წუთზე დაშავებამ და მოედნიდან გასვლამ პერსპექტივა მნიშვნელოვანწილად ჩამოაჭრა და თამაში უფრო ბრძოლად უქცია. შემდეგ ეს ბრძოლაც მათი დამარცხებით დასრულდა.

„მონაკოს“ თავკაცმა დიდიე დეშანმა იმთავითვე ნახევარდაცვას მიაქცია საგანგებო ყურადღება — თავდამსხმელის, დადო პრსოს ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში ედუარდ სისე ვიხილეთ. სებასტიან სკილაჩის ადგილას მონაკოელთა შორის ყოფილი პორტუელი, უგო იბარა ტრიალებდა, ხოლო დაცვის შუაში ჟულიენ როდრიგესთან წყვილში გაელ გივე ირჯებოდა.

„პორტუს“ შემადგენლობაში კი აღსანიშნავი ის იყო, რომ ჟოზე მაურინიუმ თავდასხმაში ბრაზილიელი დერლეის მხარდამხარ სათამაშოდ ბრაზილიელივე ზემოთ ნახსენები, 19 წლის კარლოს ალბერტო ათამაშა, რომელსაც სამხრეთაფრიკელ ბენ მაკკარტისთან შედარებით მიანიჭა უპირატესობა.

როგორც წინასწარ ვარაუდობდნენ, ჟიული ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გამოვიდა და პირველ სამ წუთში ოთხჯერ სერიოზულად გაიქაჩა „პორტუს“ კარის დასალაშქრად. ამ ოთხი ეპიზოდიდან სამჯერ პორტუგალიელთა მხრიდან ჟორჟე კოშტამ გამოამჟღავნა ოსტატობა, ხოლო ერთხელ ვიტორ ბაიამ იყოჩაღა და რისკიანად, მაგრამ წარმატებით გამოვარდა კარიდან.

„პორტუმ“, ბუნებრივია, „მონაკოს“ ინიციატივა უპასუხოდ არ დატოვა. იმ პერიოდში სამთავროელები გივეს უმადლოდნენ კარლოს ალბერტოს მარცხენა ფრთიდან განვითარებულ შეტევას და დაბალ პასს გზა რომ არ მისცა. შემდეგ გივე დეკოს დარტყმულს გადაეღობა, ხოლო კიდევ ერთ ეპიზოდში როდრიგესმა ძლივს გაართვა თავი დერლეისთან მაღალი ბურთისთვის ბრძოლას.

ამის შემდეგ საინტერესო ის მოხდა, რომ ჟიულიმ მისთვის ჩვეულ, გამთამაშებლის პოზიციას მიაშურა და ერთხელ სისეს გაუჭრა პასი (თუმც ამ მომენტს დიდად სასარგებლო გაგრძელება არ მოჰყოლია), ხოლო მეორედ ჟერომ როტენს, რომელმაც ფლანგიდან ჩააწოდა, მაგრამ ფერნანდო მორიენტესი ბურთს ვერ მისწვდა.

და აი, „მონაკოს“ სამწუხაროდ, ამ დროს დაშავდა კიდეც ჟიული, რომელსაც მოედნიდან გასვლა მოუხდა. ჟიულიმ კაპიტნის სამკლავური როდრიგესს დაუტოვა, ხოლო მის ნაცვლად პრსო შევიდა მოედანზე.

სანამ ჟიულის გასვლის უარყოფით მხარეებს შეიგრძნობდნენ, მონაკოელებმა ძველებურად შეუტიეს და ნუნუ ვალენტეს სისეს წინააღმდეგ უხეშობის გამო ყვითელი ბარათის ხილვა მოუხდა, ხოლო ამის მერე, მორიენტესი შედიოდა ბერნარდის პასით ვიტორ ბაიასთან პირისპირ, მაგრამ თანამსაჯმა არარსებული ოფსაიდი შეამჩნია და შეტევა შეაჩერა.

ამის შემდეგ სასწორი „პორტუს“ მხარეს გადაიხარა და როდესაც როტენმა ბურთი დაკარგა, პაულუ ფერეირამ იგდო ხელთ და ახლო ძელთან ჩააწოდა, სადაც როდრიგესმა იღბლად დაასწრო დეკოს.

ხუთ წუთში „პორტუმ“ დაახლოებით ასეთივე კომბინაციით გახსნა ანგარიში — იმავე ფერეირას ჩაწოდებული როდრიგესმა საჯარიმოში კარლოს ალბერტოს აუგდო (ეგონა დერლეის მოვაცილებო) და მანაც პირდაპირ და შედეგიანად დაჰკრა.

აქამდე, ანუ სანამ პირველი ტაიმის დაამთავრებამდე ხუთი წუთი დარჩებოდა, გუნდებს შორის დიდი სხვაობა არ იყო, მეორეში კი „მონაკო“ იმთავითვე შემკრთალი გამოჩნდა — უკვე აგებდა და ჟიულიც სერიოზულად აკლდა. ერთადერთი, რაც ფრანგებმა თავის დასამშვიდებლად შეუძლიათ თქვან ისაა, რომ თანამსაჯმა ერთხელაც აღმართა საეჭვო ვითარებაში ალამი.

პლუს მათ ერთიხანობა მართლა ძლიერ მიაჯაჭვეს „პორტუ“ თავის საჯარიმოს, მაგრამ ყველაფერი კარში ალალი დარტყმით და, მით უფრო, გოლით არ დასრულებულა.

შემდეგ ჟოზე მაურინიუმ კარლოს ალბერტო გაიყვანა მოედნიდან და მის ნაცვლად რუსი ნახევარმცველი ალეინიჩევი შეუშვა. ამ ამბიდან ოთხი წუთი რომ გავიდა, დიდიე დეშანმა პასუხად კონგოელი ფორვარდი შაბანი ნონდა შეიყვანა ორომტრიალში სისეს ნაცვლად.

71-ე წუთზე მონაკოელთა მონდომებას ცივი წყალი დეკომ გადაასხა. მან ბურთი იხელთა და მარცხნივ ალეინიჩევს გაუგდო. რუსმა საპასუხო პასი არ დაუგვიანა და დეკომაც ბოლო დარტყმა შეასრულა ზუსტად.

ხოლო კიდევ ოთხ წუთში ყველაფერს ნამდვილი დიდი წერტილი დაესვა. ამჯერად კონტრშეტევა დერლეიმ გამოგლიჯა და ბურთი ალეინიჩევს გადასცა, ხოლო მან მესამე გაიტანა.

REUTERS გელ ზურკორნელიდან

ლუდოვიკ ჟიულის იძულებითმა შეცვლამ დიდიე დეშანს გუნდი აურია

REUTERS გელ ზურკორნელიდან

„მონაკოს“ მესამე გოლი დ. ... ალეინიჩევმა გაუტანა

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. პლეი ოფი

ბეკეშჩაბა 2:0 ვიდეოტონი

დიორ ეტო 1:3 პეჩი

ჰალადაში 1:1 ზალაეგერსეგი

უკრაინა

პრემიერლიგა

XXVII ტური

ოგოლონი 2:2 დნიპრო

ტავრია 1:2 შახტარი

სლოვენია

თასის ფინალი

დრავოგრადი 4:3 მარიბორი

2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

2003 UEFA CUP

რა უნდა სცენარში ქოზეს?

ჩვენ მოვიგეთ
უეფას თასი და
ჩემპიონთა ლიგა,
გუნდებს და
მწვრთნელებს ასეთი
გამარჯვებები ჰქმნის.
ვიცი, რომ ყოველთვის
მწვერვალზე
ვერ ვიქნები,
ამიტომ ნებისმიერი
სცენარისთვის
მზად ვარ.
ახლა ჯი მხოლოდ
ზეიმის დროა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორელიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დაჯღიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge